რესურსსკოლების მონიტორინგის ანგარიში

საქართველოს სახალხო დამცველი

2024

სარჩევი

შესავალი 3

მეთოდოლოგია 4

1. კვლევის ძირითადი მიგნებები 5

2. რესურსსკოლების სპეციფიკა და სამართლებრივი რეგულირება 7

3. ინკლუზიური განათლების ხარისხი 10

3.1. მოსწავლის პირადი საქმე 10

3.2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება 11

3.3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმების წარმოება და ისგ ჯგუფის საქმიანობა 13

3.4. რესურსოთახში მუშაობა 15

3.5. საგაკვეთილო პროცესი და შინსწავლების პრაქტიკა 16

3.6. თანამშრომლობა პერსონალს შორის 18

4. ადამიანური რესურსები და კვალიფიკაცია 21

4.1 ინკლუზიური განათლების სპეციალისტების ჩართულობა 25

5. ინკლუზიური განათლების შიდა და გარე მონიტორინგი 30

6. ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვა 32

6.1 რთული ქცევის მართვა 36

6.2 უკუკავშირისა და გაპროტესტების მექანიზმები 39

7. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საზოგადოებასთან ინტეგრაციისა და სოციალიზაციის ხელშეწყობა 42

7.1. მშობლებთან თანამშრომლობა 45

8. ფიზიკური გარემო და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა 47

8.1. №202 საჯარო სკოლის რეაბილიტაციის პროცესის შეფასება 51

შესავალი

წინამდებარე ანგარიშში გაანალიზებულია 2023 წელს, სახალხო დამცველის აპარატის მიერ, ზოგადი განათლების სისტემაში, თბილისსა და რეგიონებში არსებული 7 რესურსსკოლის[1] მონიტორინგის[2] შედეგად გამოკვეთილი პრობლემები.

მონიტორინგი ჩატარდა სახალხო დამცველის აპარატისთვის მინიჭებული მნიშვნელოვანი მანდატის – „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის მექანიზმის[3] ფარგლებში.

მონიტორინგის მიზანი იყო დასახელებულ სკოლებში ჩარიცხული პირებისათვის მიწოდებული განათლებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა (შშმ/სსსმ მოსწავლე) უფლებების დაცვის ხარისხის შეფასება, მათი შესაბამისობის დადგენა საერთაშორისო დოკუმენტებით და ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრულ სტანდარტებთან.

რესურსსკოლებში 2022-2023 სასწავლო წელს ირიცხებოდა 487 მოსწავლე, მათ შორის, 79 იყო რესურსსკოლების პანსიონური მომსახურებით მოსარგებლე.[4]

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სათანადოდ არ რეალიზდება შშმ/სსსმ მოსწავლეების უფლებები. სახელმწიფო ჯეროვნად არ ასრულებს საერთაშორისო და ეროვნული რეგულაციებით დადგენილ ვალდებულებებს. შემოწმების შედეგად გამოვლენილ ხარვეზებს შორისაა: რესუსრსკოლების არასაკმარისი დაფინანსება, სკოლების სპეციფიკის

---

[1] ქვეყნის მასშტაბით სულ 7 რესურსსკოლაა: სსიპ ახალციხის №7 საჯარო სკოლა - ირიცხებიან მძიმე და ღრმა ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეები; სსიპ თბილისის №200 საჯარო სკოლა - ირიცხებიან მძიმე და ღრმა ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეები; სსიპ თბილისის №203 საჯარო სკოლა - ირიცხებიან სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეები; სსიპ თბილისის №198 საჯარო სკოლა - ირიცხებიან მძიმე და ღრმა ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეები; სსიპ თბილისის №202 საჯარო სკოლა - ირიცხებიან მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეები; სსიპ ქუთაისის №45 საჯარო სკოლა - ირიცხებიან სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეები; სსიპ ჭიათურის №12 საჯარო სკოლა - ირიცხებიან მძიმე და ღრმა ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეები.

[2] მონიტორინგი ჩატარდა 2023 წლის მაისსა და ივნისში, სახალხო დამცველის აპარატის შშმ პირთა უფლებების დეპარტამენტის თანამშრომლებისა და ინკლუზიური განათლების ექსპერტების - სპეციალური მასწავლებლის, ფსიქოლოგის და სოციალური მუშაკის მონაწილეობით.

[3] „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის მექანიზმის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის ოფიციალურ ვებგვერდზე: <https://ombudsman.ge/geo/shshm-pirta-uflebebis-konventsiis-monitoringis-mekanizmi>.

[4] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 6 მარტის წერილი MES 4 23 0000258315. სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრაციის №2442/23-06.03.23.

გათვალისწინებით, კვალიფიციური კადრების, მათ შორის, ჟესტური ენის თარჯიმნების ნაკლებობა; პერსონალის დაბალი ანაზღაურება; კადრების გადინების პრობლემა; სასწავლო მასალებისა და რესურსების ნაკლებობა; მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) წარმოების ხარვეზები; ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირების შესახებ ნაკლები ინფორმირებულობა; სასწავლო დაწესებულებების ფიზიკური გარემოსა და ინფრასტრუქტურის მისაწვდომობის პრობლემა; არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენური პირობები; გეოგრაფიული დაფარვა და სხვა.

წინამდებარე ანგარიშში დეტალურად არის განხილული ეს და სხვა მნიშვნელოვანი გამოწვევები.

მეთოდოლოგია

მონიტორინგის მეთოდოლოგია მოიცავდა როგორც თვისებრივი, ისე სამაგიდო კვლევის ფარგლებში შესაბამისი მასალის, მათ შორის, რაოდენობრივი მონაცემების, შეგროვებასა და დამუშავებას. ვიზიტის დროს სკოლის ადმინისტრაციისგან გამოთხოვილ იქნა და გაანალიზდა დაწესებულების მართვის ამსახველი დოკუმენტაცია, მოსწავლეთა პირადი საქმეები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სამუშაო ჯგუფის ოქმები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნები, სასწავლო რესურსები. შესწავლილ იქნა სსსმ/შშმ მოსწავლეთა აკადემიური, სოციალური და ფუნქციონალური შესაძლებლობები, მოსწავლეთა ქცევის მართვის საკითხები, ინკლუზიური განათლების სპეციალისტების საქმიანობა, სკოლის პერსონალს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობა, ბავშვთა უფლებების სწავლება და სხვ.

მონიტორინგის მიზნებისთვის წინასწარ შემუშავებული კითხვარის მეშვეობით ინტერვიუ ჩატარდა რესურსსკოლების ადმინისტრაციასა და პერსონალთან (საგანმანათლებლო/პანსიონური ნაწილი), მოსწავლეებსა და მშობლებთან.[5]

მოსწავლეთა ინტერვიურება ხდებოდა ინფორმირებული თანხმობით, ინდივიდუალურად, ძირითადად განცალკევებით და მშვიდ გარემოში, ინტერვიუს ნებისმიერ ეტაპზე შეწყვეტის უფლებით და კონფიდენციალობის დაცვის გარანტირებით.

გარდა ამისა, შეფასდა სკოლების ფიზიკური გარემო და ინფრასტრუქტურა, ასევე, პანსიონის ბენეფიციართა საცხოვრებელი პირობები.

მონიტორინგის დაგეგმვის პროცესში საჭირო ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან.

[5] ჩაღრმავებული ინტერვიუ: რესურსსკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლები - 8; სკოლის პერსონალი (პანსიონური ნაწილის მომსახურე პერსონალის ჩათვლით) - 44; მოსწავლე - 15; მშობელი - 7.

1. კვლევის ძირითადი მიგნებები

ინკლუზიური განათლების ხარისხი

- სკოლებში, რომელთაც არ აქვთ დონორული მხარდაჭერა, გამოწვევას წარმოადგენს საჭირო ტექნიკური, სასწავლო და ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა;
- უმეტეს შემთხვევაში მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების წარმოება არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. კერძოდ, გეგმები არ არის სპეციფიკური, გაზომვადი, მიღწევადი, რელევანტური და დროში გაწერილი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის შეხვედრები არ ტარდება საჭირო პერიოდულობით, რაც აზიანებს ინკლუზიური საგანმანათლებლო პროცესის ხარისხს;
- რესურს-ოთახების ნაწილი არ არის სათანადოდ მოწყობილი;
- სათანადოდ არ არის დაცული მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობა;
- სკოლების ნაწილში არ არის სივრცე მოსწავლეთა ფიზიკური განვითარებისათვის საჭირო აქტივობების განსახორციელებლად;
- უმეტეს შემთხვევაში საგაკვეთილო პროცესში არ გამოიყენება მრავალფეროვანი მასალები; მასწავლებლებს უჭირთ სასწავლო რესურსების დამოუკიდებლად მომზადება;
- რიგ შემთხვევებში, დაგეგმილი სასკოლო აქტივობები არ არის მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული; ასისტენტისა და საგნის მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები საგაკვეთილო პროცესში არ არის სწორად განაწილებული, რაც აბრკოლებს განათლების ხარისხიანად მიწოდებას;
- სკოლების მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი მონიტორინგის დასკვნები უმეტეს შემთხვევაში არის ზოგადი და არ მოიცავს შესამოწმებელი მიმართულებების სიღრმისეულ ანალიზს. მათ შორის, სათანადოდ არ არის შეფასებული ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მუშაობისა და საგაკვეთილო პროცესებში სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება.

ადამიანური რესურსები და კვალიფიკაცია

- არ არის განსაზღვრული, კონკრეტულად რამდენ მოსწავლესთან შეიძლება მუშაობდეს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, რაც უარყოფითად აისახება სასწავლო პროცესზე;
- გამოწვევას წარმოადგენს პერსონალის კვალიფიკაცია და მათი გადამზადება. არსებული ტრენინგ-მოდულები ნაკლებად ითვალისწინებს რესურსსკოლების სპეციფიკას;
- არასაკმარისი ფინანსური რესურსია გამოყოფილი ინკლუზიური განათლებისთვის საჭირო კადრების დასაქმებისთვის;

- სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობასთან მიმართებით არასაკმარისია სპეციალური მასწავლებლისა და ფსიქოლოგების რაოდენობა;
- არათანაბარია ინკლუზიური განათლების სპეციალისტების ანაზღაურება. ფსიქოლოგების ანაზღაურება ბევრად ნაკლებია სპეციალური მასწავლებლის ანაზღაურებაზე. დაბალია სსსმ მოსწავლის ასისტენტის ხელფასი, რაც იწვევს კონკრეტული პოზიციებით ნაკლებ დაინტერესებას და არსებული კადრის გადინებას;
- აუცილებელია შინაგანაწესი მეტად იყოს მორგებული სკოლის სპეციფიკასა და საჭიროებაზე და მასში სათანადოდ აისახებოდეს პანსიონური მომსახურების ნაწილი, ამ კომპონენტის მარეგულირებელი წესები და ძირითადი პირობები, რაც ფაქტობრივად რეგულირების მიღმაა დარჩენილი.

ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვა

- რესურსსკოლების პერსონალს არ აქვს ინფორმაცია, როგორც რეფერირების შიდა პროცედურების, ისე ძალადობასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი კონკრეტული სუბიექტების შესახებ;
- ინციდენტების, ძალადობაზე ეჭვის, ძალადობისა და მასზე რეაგირების შესახებ ჩანაწერები არასრულად, ან ზოგჯერ საერთოდ არ იწარმოება;
- რესურსსკოლის მოსწავლეები და მშობლები არ არიან სათანადოდ ინფორმირებულნი ძალადობის, დისკრიმინაციის, არასათანადო მოპყრობისა და ასეთი შემთხვევების დროს მათზე რეაგირების მექანიზმების თაობაზე; ეს საკითხი განსაკუთრებით პრობლემურია იმის გათვალისწინებით, რომ სკოლებს აქვთ 24 საათიანი პანსიონური მომსახურების კომპონენტი;
- რესურსსკოლებში, სპეციალისტების ნაკლებობის, ამ საკითხზე სკოლის პერსონალის დაბალი კვალიფიკაციისა და თანამშრომლებს შორის ნაკლები კომუნიკაციის გამო, არ ხერხდება სსსმ მოსწავლეების რთული ქცევის სათანადოდ იდენტიფიცირება.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საზოგადოებასთან ინტეგრაციისა და სოციალიზაციის ხელშეწყობა

- სსსმ მოსწავლეთა სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობისთვის დაგეგმილი ღონისძიებები არ ატარებს სისტემატურ ხასიათს და ხშირად არ მოიცავს ყველა მოსწავლეს;
- სოციალიზაციის ხელშეწყობის პროცესში განსაკუთრებულ ბარიერებს აწყდებიან ყრუ და სმენის შეზღუდვის მქონე მოსწავლეები;
- პრობლემურია სკოლაში და სკოლიდან ტრანზიციის პროცესი. გამოწვევას წარმოადგენს სკოლის დასრულების შემდგომ სსსმ მოსწავლეების დასაქმებისა და თვითრეალიზაციის ხელშეწყობა;

- დაბალია მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. რესურსსკოლების უმეტესობა მშობლებთან ფრაგმენტულად, გამოვლენილი საჭიროების შემთხვევაში ურთიერთობს; არ არის დანერგილი სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართვის წამახალისებელი მექანიზმები.

ფიზიკური გარემო და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა

- სკოლათა ნაწილი ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას მისაწვდომ, სათანადოდ მოწყობილ, სუფთა და უსაფრთხო გარემოში;
- მისაწვდომობისა და სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს ვერ აკმაყოფილებდა ცალკეული სკოლების სველ წერტილებში არსებული მდგომარეობა. ზოგიერთ სკოლაში, არცერთი საპირფარეშო არ იყო ადაპტირებული შშმ მოსწავლეებისთვის;
- პრობლემურ საკითხად გამოიკვეთა სკოლების სველი წერტილების ცხელი წყლითა და ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა.

2. რესურსსკოლების სპეციფიკა და სამართლებრივი რეგულირება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების[6] თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას დაწყებით ან/და საბაზო ან/და საშუალო საფეხურზე.[7]

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის[8] მიხედვით, რესურსსკოლა არის „სენსორული ან/და მძიმე/ღრმა ინტელექტუალური ან/და მრავლობითი დარღვევის მქონე ან მრავლობითი სენსორული დარღვევის მქონე (ყრუ და უსინათლო) ან ქცევითი და ემოციური აშლილობის მქონე მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სკოლა, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, აგრეთვე სათანადო პროგრამებით/სერვისებით უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს. ასევე სკოლა, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სრულად მოიცავს ზოგადი განათლების საბაზო საფეხურს ან/და საშუალო

---

[6] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/document/view/61480?publication=451> [ბოლოს ნანახია 16.01.2024].

[7] საჯარო სკოლის წესდების მუხლი 1.

[8] „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248 [ბოლოს ნანახია 16.01.2024].

საფეხურს და ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე საგნის გაძლიერებულ სწავლებას“.[9] ამავე კანონის თანახმად, სამინისტრო უზრუნველყოფს მინისტრის მიერ დაფუძნებული საჯარო სკოლების, მათ შორის, რესურსსკოლების, პანსიონური მომსახურების დაფინანსებას.[10] თავის მხრივ, პანსიონური მომსახურება არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრული კატეგორიის სკოლის/რესურსსკოლის მიერ დღის/სადღეღამისო სერვისის შეთავაზება, რომელიც მოიცავს მოსწავლეების საცხოვრებელი პირობებით, კვებითა და დამატებითი პროგრამებით/სერვისებით უზრუნველყოფას.[11]

2022-2023 სასწავლო წლისათვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2022 წლის 30 დეკემბრის MES 5 22 0001680272 ბრძანებით დამტკიცდა „განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა სპეციალური დაწესებულებების ხელშეწყობის" პროგრამა (პროგრამული კოდი 32 06 02).[12] დოკუმენტის მიხედვით, პროგრამა მიზნად ისახავს, რესურსსკოლების ბაზაზე, დამატებითი მომსახურების სახით პანსიონური მომსახურების წარმართვისას, სსსმ მოსწავლეების დასახმარებლად, საკუთარი პოტენციალის რეალიზებაში, ხარისხიანი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების უზრუნველყოფას.

უწყების ამავე ბრძანებით განსაზღვრულია რესურსსკოლების მიერ პროგრამის განხორციელების ზოგადი სტრატეგია. ამასთანავე, სკოლებს გააჩნიათ შინაგანაწესი, რომლის წესები ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ განსხვავებული სპეციფიკის მიუხედავად, რესურსსკოლების შინაგანაწესი სტანდარტულია და წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ მიწოდებულ შაბლონურ დოკუმენტს. მნიშვნელოვანია, შინაგანაწესი მეტად იყოს მორგებული სკოლის სპეციფიკასა და საჭიროებაზე. მასში სათანადოდ აისახოს პანსიონური მომსახურების ნაწილი, ამ კომპონენტის მარეგულირებელი წესები და ძირითადი პირობები, რაც ფაქტობრივად რეგულირების მიღმაა დარჩენილი, თუ არ ჩავთვლით ზემოთ ხსენებული ბრძანებით დამტკიცებულ პროგრამაში გაწერილ ზოგად ინფორმაციას.

---

[9] „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე- 2 მუხლის ჩ[7] პუნქტის ა-ბ ქვეპუნქტები. დოკუმენტი ხელმისაწვდობია ვებგვერდზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248 [ბოლოს ნანახია 16.01.2024].

[10] დასახელებული კანონის 22-ე მუხლის 6[1] პუნქტი.

[11] „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე- 2 მუხლის ჩ[6] პუნქტი.

[12] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 6 მარტის წერილი MES 4 23 0000258315. სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრაციის №2442/23-06.03.23.

ორი რესურსსკოლის შემთხვევაში, კერძოდ, სსიპ თბილისის №200 და №198 საჯარო სკოლების შინაგანაწესს ერთვოდა კრიზისულ სიტუაციაში რეაგირების წესი და მიდგომები. როგორც სკოლების პერსონალთან ინტერვიუებით გაირკვა, ზოგჯერ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დგება კრიზისულ სიტუაციაში ჩარევის საჭიროება. გარდა იმისა, რომ არ არსებობს გაწერილი ინსტრუქცია/სახელმძღვანელო მითითებები მსგავს სიტუაციებზე რეაგირებისათვის, არც პერსონალს აქვს გავლილი შესაბამისი სწავლება/მომზადება.

სხვა საჯარო სკოლებისგან განსხვავებით, რესურსსკოლაში ბავშვების ჩასარიცხად აუცილებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის (შემდგომში - სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდი) დასკვნა ჩარიცხვის მიზანშეწონილობის თაობაზე. ამასთანავე, საჭიროა კონკრეტული დოკუმენტაციის (მათ შორის, სამედიცინო ხასიათის დოკუმენტაციის) წარდგენა.[13] სხვა საჯარო სკოლებისგან განმასხვავებელი ფაქტორია ისიც, რომ რესურსსკოლაში ჩარიცხულ ყველა მოსწავლეს აქვს გარკვეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროცესში გაცილებით მეტი ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ჩართვა, ვიდრე ეს პრაქტიკაში გვხვდება ან სხვა საჯარო სკოლების შემთხვევაში აქვს ადგილი.[14]

გარდა ამისა, რესურსსკოლების უმრავლესობას[15] აქვს პანსიონური მომსახურების კომპონენტი, რომლის ფარგლებშიც სადღეღამისო მომსახურებას უწევს მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს.[16] რესურსსკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის დადგენილი წესის მიუხედავად, მონიტორინგის შედეგად[17] გამოიკვეთა, რომ ზოგიერთი ბავშვის რესურსსკოლაში სწავლება აუცილებლობით არ იყო გამოწვეული. კერძოდ, რიგ შემთხვევებში ეს უკავშირდება მოსწავლის ბიოლოგიურ ოჯახში არსებულ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს.[18] ეს, თავის მხრივ, მიანიშნებს როგორც განათლების, ისე ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის სისტემების იმგვარად გამართვის აუცილებლობაზე, რაც შეამცირებს ან/და გამორიცხავს ანალოგიური მიზეზით რესურსსკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვის საჭიროებას.

---

[13] რესურსსკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვა რეგულირდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით, №67/ნ (მიღებული: 2018 წლის 31 დეკემბერს), დანართი №3 „რესურსსკოლებში და პანსიონური მომსახურების მიღების მიზნით რესურსსკოლის პანსიონებში ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა“. ამავე ბრძანების თანახმად, „პანსიონური მომსახურების მიღების მიზნით, რესურსსკოლის პანსიონებში ჩაირიცხება მოსწავლე, რომლის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ მდებარეობს იმ ქალაქში/მუნიციპალიტეტში, სადაც მდებარეობს რესურს სკოლა“.

[14] დეტალურად იხ. ანგარიშის ქვეთავი: ადამიანური რესურსები და კვალიფიკაცია.

[15] ყველა რესურსსსკოლას, გარდა სსიპ თბილისის №198 საჯარო სკოლისა, რომელსაც არ აქვს პანსიონური (ღამის) მომსახურება.

[16] რესურსსკოლების მოსწავლეების ჯამური რაოდენობის დაახლოებით მეხუთედს.

[17] ინტერვიუები პერსონალთან და დაკვირვება.

[18] ეს ტენდენცია, განსაკუთრებით გამოიკვეთა სსიპ ახალციხის №7 და სსიპ ჭიათურის №12 საჯარო სკოლებში.

მონიტორინგის პროცესში[19] ასევე გამოიკვეთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვებთან დაკავშირებული გამოწვევა. როგორც აღმოჩნდა, რესურსსკოლების[20] პანსიონური მომსახურებით სარგებლობენ სახელმწიფო მზრუნველობის (მინდობით აღზრდა/მცირე საოჯახო ტიპის სახლი) საჭიროების მქონე არასრულწლოვნები, რომელთა განთავსებაც ალტერნატიულ ზრუნვაში, ადგილების არარსებობის გამო, ვერ მოხერხდა.

მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი მოსწავლეები რესურსსკოლის მომსახურებას იღებდნენ მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნებისთვის და დაცული იქნას მათი ოჯახურ ან/და მასთან მიახლოებულ გარემოში ცხოვრების უფლება, რადგან სწორედ ასეთი პირობები იძლევა ბავშვზე მორგებული ინდივიდუალური ზრუნვისა და განვითარების შესაძლებლობას, ხელს უწყობს პირის დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებას, რაც, თავის მხრივ, მათი საზოგადოებაში სრული ინტეგრაციისა და თვითრეალიზების შესაძლებლობის წინაპირობაა.

რეკომენდაციები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- რესურსსკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით, უზრუნველყოს მასზე მორგებული მომსახურების სტანდარტების, მათ შორის, პანსიონური მომსახურების მიწოდებისა და შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების, სკოლების სპეციფიკაზე მორგებული შინაგანაწესისა და კრიზისული სიტუაციების მართვის პროტოკოლის შემუშავება;
- ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის რესურსსკოლებიდან საჯარო სკოლებში ტრანზიციის გასაძლიერებლად შეიმუშაოს მკაფიო გეგმა, მათ შორის, უზრუნველყოს საჯარო სკოლების გაძლიერება საჭირო ადამიანური რესურსებით, რათა, ერთი მხრივ, შემცირდეს რესურსსკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა და, მეორე მხრივ, შესაძლებელი გახდეს საჯარო სკოლებში რესურსსკოლების მოსწავლეთა ინტეგრირება.

3. ინკლუზიური განათლების ხარისხი

3.1. მოსწავლის პირადი საქმე

მოქმედი კანონმდებლობით[21] განსაზღვრული წესის მიხედვით, სსსმ/შშმ მოსწავლის პირადი საქმე უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს: ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ისგ-ს

[19] ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და პერსონალთან.

[20] №203 რესურსსკოლა ყრუ და სმენადაქვეითებული მოსწავლეებისთვის.

[21] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 6 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის პირადი საქმის ფორმის და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“. მუხლი 3. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <bit.ly/3HjWxY5> ბოლოს ნანახია [15.01.2024].

გუნდის შეხვედრებზე წარმოებული სხდომის ოქმები და სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობები ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

მონიტორინგის დროს აღმოჩნდა, რომ სსსმ მოსწავლეთა პირად საქმეებში დოკუმენტაცია სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი. პირად საქმეებში, უმეტესად გვხვდება ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და განათლებისა და მეცნიერების მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა. მხოლოდ ერთ სკოლაში,[22] სსსმ მოსწავლეთა პირად საქმეში ინახებოდა ისგ ჯგუფის შეხვედრაზე წარმოებული სხდომის ოქმების ნაწილი. სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და სხდომის ოქმები ძირითადად წარმოდგენილია ელექტრონული ფორმით და ინახება ადმინისტრაციასთან, ზოგ შემთხვევაში კი ინკლუზიური განათლების სპეციალისტებთან ან დამრიგებლებთან. სკოლების ადმინისტრაცია, პირად საქმეში ისგ-ს ბეჭდური სახით წარმოდგენას, ელექტრონული ფორმატისგან განსხვავებით, მის მოცულობასთან დაკავშირებული სირთულეებით ხსნის და აცხადებს, რომ მათთვის დოკუმენტის ელექტრონული ფორმით წარმოება უფრო მოსახერხებელია. უნდა აღინიშნოს, რომ ისგ ზოგად ნაწილსა და ისგ ჯგუფის სხდომის ოქმების ფორმაში მოცემულია ისგ ჯგუფის წევრთა ხელმოწერის გრაფა, რისი შევსებაც დოკუმენტაციის ელექტრონული ფორმატით წარმოების შემთხვევაში ვერ ხერხდება.

3.2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება

სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით, სპეციალური მასწავლებელი დროულად გამოავლენს შესაძლო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს, ადგენს პირველადი მართვის გეგმას და დროულად გადაამისამართებს შესაბამის სპეციალისტებთან.[23] რესურსსკოლების სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველა მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება იმთავითვე იდენტიფიცირებულია. აქედან გამომდინარე, სტატუსის მინიჭება მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების პირველადი მართვის ეტაპების[24] გაუვლელად ხორციელდება. თავის მხრივ, ისგ უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ბავშვის კოგნიტური, აკადემიური, საგნობრივი კომპეტენციების, ინტერესების, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების შესახებ,

[22]მაგალითად, სსიპ ჭიათურის №12 საჯარო სკოლაში წარმოდგენილი იყო წინა წლების რამდენიმე სხდომის ოქმი, თუმცა არ იყო მიმდინარე.

[23]საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №1014/ნ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ. თავი V, მუხლი 18 (სპეციალური მასწავლებლის მიერ მოსწავლის შეფასება). ბრძანება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <https://bit.ly/3szuoJ4> ბოლოს ნანახია [16.10.2023].

[24]საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი“. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <https://bit.ly/45eHY1T> ბოლოს ნანახია [17.10.2023].

მისი ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.[25] მოქმედი კანონმდებლობით,[26] ამ უნარებს აფასებს სპეციალური მასწავლებელი ან ფსიქოლოგი. მნიშვნელოვანია, რომ შეფასება იყოს მიმდინარე და დეტალურად აღწერდეს მოსწავლის ძლიერ მხარეებსა თუ საჭიროებებს.

მონიტორინგის ჯგუფმა, დაკვირვების, ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად გაარკვია, რომ სკოლებში ზოგიერთი მოსწავლისთვის შედგენილი მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა გასული პერიოდით თარიღდება, როდესაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ფორმაში არ იყო გათვალისწინებული მოსწავლისათვის კონკრეტული ინკლუზიური განათლების სპეციალისტის საჭიროების ასახვა. როგორც გამოიკვეთა, სკოლების მიერ არ ხდება ხელახალი რეფერირება საჭიროებისამებრ შეფასების განსაახლებლად. ამით ბრკოლდება მოსწავლეების წვდომა მნიშვნელოვან მომსახურებებზე.

მონიტორინის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ ზოგიერთ სკოლაში[27] არ ხდება თითოეული მოსწავლის ჰოლისტური შეფასება. ზოგან, მოსწავლეთა რაოდენობის გამო, ინკლუზიური განათლების სპეციალისტებს მხოლოდ იმ მოსწავლეების შეფასება აქვთ გაწერილი, რომლებთანაც დამატებით უწევთ ინდივიდუალურად მუშაობა. დანარჩენ მოსწავლეებს აფასებენ დამრიგებლები, რომლებსაც არ აქვთ შესაბამისი კომპეტენცია.[28] ამ მხრივ, შედარებით დადებითი პრაქტიკა გამოიკვეთა თბილისის №198 საჯარო სკოლაში, სადაც ინკლუზიური განათლების სპეციალისტებმა დამრიგებლებისთვის შეიმუშავეს შეფასების დამხმარე კითხვარები და სავარჯიშოების კრებული. მოსწავლეთა დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე ასევე გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ სკოლაში[29] ინკლუზიური განათლების სპეციალისტების შეფასება არის მთლიანობითი, აღწერითი, ზუსტი და მიემართება მოსწავლეების განვითარების ყველა სფეროს. მეორე მხრივ, დამრიგებლების გაწერილი შეფასებები ზოგადი ხასიათისაა და ზოგიერთ მოსწავლის შემთხვევაში გამოტოვებულია ინფორმაცია ამა თუ იმ სფეროს შესახებ. აღსანიშნავია, რომ ინკლუზიური განათლების სპეციალისტები ძირითადად ფლობენ ინფორმაციას მოსწავლის შეფასების

---

[25] ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული და კონცეპტუალური ნაწილი (8.10.2018) – თავი VIII.

[26] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №1014/ნ „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“. ბრძანება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <https://bit.ly/3szuoJ4> ბოლოს ნანახია [16.10.2023]. ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი“. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/45eHY1T>ბოლოს ნანახია [17.10.2023].

[27] კერძოდ, სსიპ ახალციხის №7 და სსიპ ჭიათურის №12 საჯარო სკოლები.

[28] რესურსსკოლაში მომუშავე სპეციალისტთა ნაწილს ჩაბარებული აქვს უფროსი სპეციალური მასწავლებლის გამოცდა, თუმცა ყველა მასწავლებელს არ გააჩნია ასეთი კომპეტენცია.

[29] მათ შორისაა: სსიპ თბილისის №198 და სსიპ თბილისის №200 სკოლები.

ტექნიკების, მეთოდებისა თუ ინსტრუმენტების შესახებ, თუმცა რამდენიმე სკოლაში[30] გამოიკვეთა ამ მიმართულებით სპეციალისტების გადამზადების საჭიროება.

3.3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმების წარმოება და ისგ ჯგუფის საქმიანობა

მოქმედი კანონმდებლობით[31] განსაზღვრულია ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში შემავალი კომპონენტები, მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის დაკომპლექტების წესი და მათი მუშაობის პროცედურები.

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ ყველა სკოლაში შემუშავებულია ბრძანება ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ თითოეულ მოსწავლეზე. სკოლათა უმეტესობაში ისგ ჯგუფი იკრიბება დადგენილი მინიმუმის შესაბამისად ან საჭიროებისამებრ და დგება შეხვედრის ოქმები.[32] ამ მხრივ განსხვავებული სიტუაციაა ახალციხის №7 საჯარო სკოლაში, სადაც მიმდინარე წლის ისგ ჯგუფის მხოლოდ ერთი ოქმი წარმოგვიდგინეს. როგორც გაირკვა, ამ სკოლაში ისგ ჯგუფის შეხვედრები არ ტარდება დადგენილი პერიოდულობით.[33] ნაცვლად ამისა, სკოლაში მომუშავე სპეციალისტები მოსწავლეთა საჭიროებებს განიხილავენ სამასწავლებლოში, ერთობლივი შეკრებების დროს. საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციებსაც ამავე სივრცეში იღებენ კოლეგებისგან, მოსწავლის კონფიდენციალობის დაცვის დარღვევით.[34]

შემოწმებამ გამოავლინა, რომ ნაკლებია ისგ ჯგუფის შეხვედრებში მშობელთა ჩართულობა. ზოგიერთი მშობელი საერთოდ არ მონაწილეობს გუნდის საქმიანობაში.[35] შეხვედრის ოქმების ანალიზმა აჩვენა, რომ თითქმის ყველა სკოლაში, ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები შაბლონურია და დეტალურად არ არის განხილული კონკრეტული სსსმ მოსწავლის სწავლის მიმდინარეობის პროცესი. ასევე არ არის გადმოცემული შეხვედრაში მონაწილე ყველა პირის

---

[30] მათ შორისაა: სსიპ ახალციხის №7 საჯარო სკოლა, სსიპ ჭიათურის №12 საჯარო სკოლა და სსიპ თბილისის №203 საჯარო სკოლა.

[31] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი“. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/45eHY1T> ბოლოს ნანახია [17.10.2023].

[32] „ეროვნული სასწავლო გეგმა“. სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული და კონცეპტუალური ნაწილი (8.10.2018) – თავი VIII, მუხლი 42.

[33] ისგ ჯგუფი უნდა იკრიბებოდეს სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ. ისგ ჯგუფის შეხვედრაზე სპეციალური მასწავლებელი/კლასის დამრიგებელი აწარმოებს სხდომის ოქმებს. ყველა სხდომის ოქმი უნდა ინახებოდეს მოსწავლის პირად საქმეში.

[34] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №57/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი“ - თავი II, მუხლი 3. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3qgJyBN> ბოლოს ნანახია [16.10.2023].

[35] ამის მიზეზად ის სახელდება, რომ მშობლები სკოლისგან მოშორებით (სხვა სოფლებსა და ქალაქებში) ცხოვრობენ და ინფორმაცია უმეტესად დისტანციურად მიეწოდებათ.

მიერ გამოთქმული მოსაზრება და არ ჩანს მოსწავლესთან მუშაობის დინამიკა, არსებული საჭიროებები თუ სირთულეები.

ისგ-ს შემუშავების ჭრილში სკოლებში დამკვიდრებულია არაერთგვაროვანი პრაქტიკა. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სკოლათა უმეტესობაში ყველა მოსწავლისთვის არის შემუშავებული, სკოლათა ნაწილში[36] მხოლოდ რამდენიმე მოსწავლისთვისაა შედგენილი. ზოგ შემთხვევაში,[37] კონკრეტული მოსწავლის ისგ არ არის შედგენილი ყველა საგანში. მონიტორინგმა ცხადყო, რომ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა სკოლათა ნაწილისთვის რთულია. შესაბამისად, სკოლების გარკვეულ ნაწილში[38] ინდივიდუალური სასწავლო გეგმები კვლავ მეორე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით[39] და ძველ ფორმებში იწარმოება.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შინაარსობრივი კომპონენტის თვალსაზრისით, განსხვავებული მდგომარეობაა როგორც სკოლებში, ისე ერთი და იმავე სკოლის შემთხვევაში, სხვადასხვა მოსწავლესთან დაკავშირებით. ცალკეული სკოლების[40] მიერ წარმოდგენილი ისგ-ს ნაწილი შესაბამისი კრიტერიუმების გათვალისწინებით არის წარმოებული. თუმცა, გეგმათა ნაწილში (დასახელებული და სხვა სკოლების შემთხვევებში) ხშირად არის დარღვეული ძირითადი მახასიათებლები. კერძოდ, ისინი არ არის სპეციფიკური, გაზომვადი, მიღწევადი, რელევანტური და დროში განსაზღვრული. საგნობრივ შეფასებებში, მოსწავლის ზოგიერთი უნარის შესახებ, მოიცავს მწირ და ზოგადი ხასიათის ინფორმაციას. რაც შეეხება კომპლექსურ დავალებებს, ისინი წარმოდგენილია მხოლოდ რამდენიმე თემაზე. ხოლო განსახორციელებელი აქტივობები არ არის მრავალფეროვანი[41] და მულტიმოდალურ პრინციპებზე დაყრდნობით შემუშავებული. ეს არღვევს სწავლების უნივერსალური დიზაინის პრინციპებს და ართულებს დასახული მიზნების მიღწევას. დადგენილი წესის

---

[36] მათ შორისაა: სსიპ ახალციხის №7 საჯარო სკოლა, სსიპ ჭიათურის №12 საჯარო სკოლა და სსიპ თბილისის №202 საჯარო სკოლა.

[37] მათ შორისაა: სსიპ ქუთაისის №45 საჯარო სკოლა და სსიპ თბილისის №203 საჯარო სკოლა.

[38] კერძოდ,: სსიპ ახალციხის №7, სსიპ ჭიათურის №12, სსიპ თბილისის №202 და №203 საჯარო სკოლები.

[39] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №40/ნ ბრძანების შესაბამისად, 2018 წლიდან, სკოლებში სწავლება (სხვადასხვა საფეხურზე და ეტაპობრივად), ახალ, მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით უნდა მიმდინარეობდეს. თავის მხრივ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილი დოკუმენტია და განახლებული ეროვნული სასწავლო გეგმის სტრუქტურული ერთეულების ადაპტირებით უნდა იყოს შექმნილი. ამ მიზნებისთვის ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში შეიქმნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა, რომელიც გაზიარებულ იქნა სკოლებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3YDjNbH>

[40] მაგალითად: სსიპ თბილისის №198, №200 და სსიპ ქუთაისის №45 საჯარო სკოლები, სსიპ თბილისის №203 სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ნაწილი.

[41] იხ. ინკლუზიური განათლების გზამკვლევი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3sc1UVq>. [ბოლოს ნანახია:22.11.2023].

მიუხედავად,[42] ყველა სკოლაში არ არის გაწერილი მოსწავლეთა პროგრესთან დაკავშირებული საკითხები. ზოგიერთ სკოლაში კი, მხოლოდ მოსწავლეთა ნაწილზეა წარმოდგენილი.[43] ისგ-ს შინაარსობრივი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ გაწერილი პროგრესის შეფასება ზოგ შემთხვევაში დეტალურია. თუმცა უმეტესად მცირე მოცულობისაა, შედგენილია რამდენიმე წინადადებით და არ არის მითითებული მიღებული უკუკავშირი ან მხარდაჭერის დონე.

3.4. რესურსოთახში მუშაობა

მოქმედი კანონმდებლობით, რესურსოთახი არის სკოლაში არსებული სივრცე, რომელიც ხელმისაწვდომია მასწავლებლების, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის. ოთახი აღჭურვილი უნდა იყოს სსსმ მოსწავლეების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებიდან გამომდინარე აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რომელსაც განსაზღვრავს სკოლა და/ან სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდი.[44] მნიშვნელოვანია მუშაობისათვის შესაბამისი ზომისა და სივრცის ორგანიზება.

რესურსსკოლების მონიტორინგმა ცხადყო, რომ სასწავლო დაწესებულებათა ნაწილში,[45] სსსმ მოსწავლეებთან დამატებით მუშაობისთვის გამოყოფილია რამდენიმე კაბინეტი, რაც, მოსწავლეთა თუ სპეციალისტთა რაოდენობის შესაბამისად, შესაძლებელს ხდის პარალელურ რეჟიმში მუშაობას. ზოგიერთ სკოლაში ფუნქციონირებს ერთი რესურსოთახი,[46] რომელსაც უმეტესად რამდენიმე სპეციალისტი ინაწილებს. დასახელებულ სკოლებში ჩარიცხულ მოსწავლეთა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტთა რაოდენობის გათვალისწინებით, ეს სათანადოდ არ ფარავს არსებულ საჭიროებას.[47] გამოიკვეთა

---

[42] გზამკვლევის თანახმად, თემის ბოლოს საგნის მასწავლებელი დასახულ მიზნებთან მიმართებით აღწერს მოსწავლის პროგრესის შეფასებას. სკოლაში ვიზიტის დროისთვის საგნის მასწავლებლებს დამუშავებული უნდა ჰქონოდათ რამდენიმე თემა პროგრესის შეფასებასთან ერთად.

[43] მაგალითად: სსიპ თბილისის №202 საჯარო სკოლა, სსიპ ახალციხის №7 საჯარო სკოლა და სსიპ ჭიათურის №12 საჯარო სკოლა.

[44]საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი“. თავი I, მუხლი 2. ბრძანება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <https://bit.ly/45eHY1T> [ბოლოს ნანახია: 08.01.2024].

[45] მათ შორისაა: სსიპ ჭიათურის №12 საჯარო სკოლა, სსიპ ქუთაისის №45 საჯარო სკოლა და სსიპ თბილისის №203 საჯარო სკოლა.

[46] აღსანიშნავია, რომ სსიპ თბილისის №202 საჯარო სკოლაში ასევე ფუნქციონირებს ინტეგრირებული კლასი.

[47] სსიპ თბილისის №198 და სსიპ თბილისის №202 სკოლა დროებით იმყოფებოდა სხვა სკოლის შენობაში, რის გამოც ვერ მოხერხდა დამატებითი სივრცის გამოყოფა. ხოლო, სსიპ თბილისის №200 საჯარო სკოლაში, ადმინისტრაციის განცხადებით, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალისტები იყენებენ პანსიონურ ნაწილში არსებულ ოთახებს.

რესურსოთახის არასათანადოდ მოწყობის[48] ფაქტებიც. იმ სკოლებში, სადაც ფუნქციონირებს რესურსოთახი, სივრცე დაყოფილია რამდენიმე ზონად: სამეცადინო, მოსასვენებელი, სათამაშო და განმავითარებელი რესურსების კუთხე. ისინი ძირითადად აღჭურვილია ადაპტირებული ავეჯითა და რესურსებით. თუმცა ზოგან გამოიკვეთა პრობლემა კომპიუტერებით, პრინტერებით, ლამინირების აპარატითა და სხვა რეკომენდებული[49] ტექნიკით აღჭურვის მიმართულებით.[50] რესურსები ახლდება საჭიროებისამებრ ან წელიწადში 2-ჯერ. მონიტორიგნის პროცესში, განმავითარებელი რესურსების კუთხით დადებითად უნდა აღინიშნოს თბილისის №200 და №198 საჯარო სკოლების პრაქტიკა. ამ სკოლებში სპეციალისტები და საგნის მასწავლებლები თავად ქმნიან მრავალფეროვან რესურსებს. დადებითადად უნდა შეფასდეს ის, რომ რამდენიმე სკოლაში დანერგილია სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობის დადებითი პრაქტიკა, რომლის საფუძველზეც ხდება სკოლის შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობითა თუ რესურსებით უზრუნველყოფა.[51]

3.5. საგაკვეთილო პროცესი და შინსწავლების პრაქტიკა

ინდივიდულური სასწავლო გეგმის წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელია დასახული მიზნების ინტეგრირება საგაკვეთილო პროცესში. მასწავლებლები სასწავლო პროცესის დაგეგმვისას უნდა ითვალისწინებდნენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და საგაკვეთილო პროცესში იყენებდნენ თითოეული მოსწავლის საჭიროებასა და ინტერესებზე მორგებული სასწავლო მიზნების შესაბამის სტრატეგიებს, დიფერენცირებულ მიდგომასა თუ მრავალფეროვან აქტივობებს.[52] იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს სკოლაში სიარულის საშუალებას, სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის საფუძველზეც სსსმ მოსწავლე სწავლას განაგრძობს შინსწავლების ფორმით.

---

[48] საყურადღებოა სსიპ თბილისის №198 საჯარო სკოლის რესურსოთახი, რომელიც არ არის სათანადოდ მოწყობილი. რესურსები მოთავსებულია მხოლოდ ორ კარადაში. ვინაიდან ოთახს იზიარებენ სხვა სკოლასთან, ინვენტარისა და რესურსების დაცვის მიზნით, მათ საჭიროებისამებრ ვერ იყენებენ.

[49] იხ. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში რესურსოთახების ორგანიზების და ფუნქციონირების გზამკვლევი: < https://bit.ly/3Ogf8Y4> ბოლოს ნანახია [22.11.2023].

[50] სსიპ თბილისის №198 და სსიპ ჭიათურის №12 სკოლების გარდა, რესურსოთახებში იყო კომპიუტერი. შავ-თეთრი პრინტერი იყო მხოლოდ სამი სკოლის რესურსოთახში (სსიპ ქუთაისის №45 საჯარო სკოლა, სსიპ ახალციხის №7 საჯარო სკოლა და სსიპ თბილისის №202 საჯარო სკოლა). ხოლო ფერადი პრინტერი და ლამინირების აპარატი სსიპ თბილისის №198, სსიპ თბილისის №202 და სსიპ ქუთაისის №45 საჯარო სკოლებში.

[51] მათ შორისაა: სსიპ თბილისის №198 საჯარო სკოლა, ახალციხის №7 საჯარო სკოლა და თბილისის №200 საჯარო სკოლა.

[52] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №1014/ნ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ. თავი II. ბრძანება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <https://bit.ly/3szuoJ4> ბოლოს ნანახია [20.11.2023].

მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ სკოლაში მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელება გარე ფაქტორების გამო ბრკოლდება, მაგალითად, ერთ-ერთ სკოლაში,[53] ფიზიკური სივრცის ნაკლებობის გამო, შემცირებულია სპორტული აქტივობები, რაც მოსწავლეთა ფიზიკურ განვითარებაზე უარყოფითად აისახება. როგორც უშუალოდ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, ზოგიერთ სკოლაში[54] მასწავლებლები იყენებენ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ მრავალფეროვან, მულტისენსორულ, დიფერენცირებულ აქტივობებს, მასალებსა თუ რესურსებს, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, საგაკვეთილო პროცესზე მრავალფეროვანი მასალები არ გამოიყენება. ამასთანავე, ზოგჯერ აქტივობები არ შეესაბამება მოსწავლეთა შესაძლებლობებს,[55] რთულია და თან, არც დიფერენცირებული მეთოდები გამოიყენება. რამდენიმე სკოლაში,[56] მიუხედავად მოსწავლეთა შესაძლებლობაზე მორგებული აქტივობების შეთავაზებისა, საჭირო იყო დამატებითი მხარდაჭერა საგაკვეთილო პროცესში. ამ შემთხვევებში ასისტენტის ჩართულობა, მოსწავლეთა რაოდენობისა და საჭიროების გათვალისწინებით, არ იყო საკმარისი.

მონიტორინგმა გამოავლინა, რომ რიგ დაწესებულებებში ასისტენტისა და საგნის მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები არ არის გაკვეთილზე სწორად გადანაწილებული.[57] კერძოდ, ზოგან ასისტენტის მხარდაჭერა მხოლოდ უსაფრთხოების უზრუნველყოფით შემოიფარგლება და დავალების შესრულების პროცესში მოსწავლეს ინდივიდუალიზებული მხარდაჭერა არ შეეთავაზება. ერთ-ერთ სკოლაში სპეციალური მასწავლებელი მოსწავლეს უწევდა საგაკვეთილო პროცესში დახმარებას/ასისტირებას,[58] თუმცა მასწავლებელი არ ასრულებდა წამყვან ფუნქციას და არ აძლევდა მოსწავლეს შესაბამის ინსტრუქციას, რის გამოც მოსწავლე საგაკვეთილო პროცესში ჩართული არ ყოფილა. მონიტორინგმა ასევე გამოავლინა განსაკუთრებით საყურადღებო შემთხვევები, როდესაც სსსმ პირის ასისტენტის მხრიდან ასისტირების პროცესში არსებული ნორმებისა და ეთიკური სტანდარტის უგულებელყოფა ღირსების შემლახავ მდგომარეობაში აყენებდა მოსწავლეს.[59]

ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მასწავლებლებს დაბალი მოლოდინები აქვთ მოსწავლეების მიმართ და შესაბამის ძალისხმევას არ ხარჯავენ კონკრეტული საკითხის სწავლებისთვის. მათ შემუშავებული აქვთ მეტად მარტივი მიზნები,

---

[53] სსიპ თბილისის №203 საჯარო სკოლა.

[54] ამგვარი პრაქტიკა გამოვლინდა სსიპ თბილისის №198 და სსიპ თბილისის №200 საჯარო სკოლებში.

[55] მათ შორისაა: სსიპ თბილისის №202 საჯარო სკოლა და სსიპ ჭიათურის №12 საჯარო სკოლა.

[56] სსიპ თბილისის №198 საჯარო სკოლა და სსიპ თბილისის №200 საჯარო სკოლა.

[57] სსიპ თბილისის №200 სკოლა.

[58] მაგ., სსიპ ჭიათურის №12 საჯარო სკოლა.

[59] გამოვლენილ შემთხვევებს შორისაა: საგაკვეთილო პროცესზე, თანაკლასელების წინაშე მოსწავლის პერსონალურ ინფორმაციაზე, მის დიაგნოზსა და განვითარების თავისებურებებზე საუბარი, ასევე, ასისტენტის მიერ ბავშვის საფენის მდგომარეობის სხვების თანდასწრებით შემოწმება.

და აქტივობები და მიზნები მისადაგებული არ არის მოსწავლეთა საჭიროებებთან. ეს იწვევს მოსწავლეთა დემოტივაციას და უარყოფითად აისახება სწავლა-სწავლების ხარისხზე.

რაც შეეხება შინსწავლების პრაქტიკას, 2022-2023 სასწავლო წელს ზემოთ ჩამოთვლილი 7 რესურსსკოლიდან შინსწავლებაზე იმყოფებოდა 13 მოსწავლე, მათ შორის იყვნენ სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი მოსწავლეებიც. ზოგიერთ სკოლას[60] ბოლო პერიოდში არ ჰქონია შინსწავლებაზე მყოფ მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება. შინსწავლებაზე გადაყვანა ძირითადად ხდება მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის შესაბამისად. ერთ-ერთ სკოლაში[61] გამოიკვეთა შემთხვევა, როდესაც შესაბამისი საჭიროების მქონე მოსწავლისთვის არ შეუთავაზებიათ შინსწავლების ალტერნატივა. იმ სკოლებში, სადაც მოსწავლეები იმყოფებიან შინსწავლებაზე, საგნის მასწავლებლები მუშაობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით და იწარმოება შინსწავლების ჟურნალი. ერთ-ერთ სკოლაში,[62] საჭიროებიდან გამომდინარე, შინსწავლებაზე მყოფ მოსწავლესთან დისტანციური ფორმით მუშაობს სპეციალური მასწავლებელიც.

3.6. თანამშრომლობა პერსონალს შორის

ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი მთავარი ასპექტია პერსონალს შორის თანამშრომლობა, რომლის გარეშეც შეუძლებელია წარმატების მიღწევა. ინკლუზიური განათლების მიდგომების დასანერგად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლის ადმინისტრაციის დამოკიდებულება და ხედვა. სპეციალური მასწავლებლის სტანდარტის თანახმად,[63] სპეციალური მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის დაკვირვების შედეგად, რეკომენდაციას უწევს საგნის მასწავლებელს, სსსმ მოსწავლის ასისტენტს, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.

მონიტორინგმა ცხადყო, რომ უმეტეს შემთხვევაში ადმინისტრაცია აქტიურადაა ჩართული ინკლუზიური განათლების განვითარების პროცესში. ზოგ შემთხვევაში[64] დირექტორი ან მოადგილე ესწრებიან ისგ ჯგუფის შეხვედრებს. რამდენიმე სკოლაში, სკოლის ადმინისტრაცია თავად აწყობს შეხვედრას პედაგოგებისთვის ინკლუზიური განათლების საკითხებთან დაკავშირებით.[65] რიგ შემთხვევაში, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები და მასწავლებლები, სხვადასხვა აქტივობის/ღონისძიებისათვის საჭირო რესურსების თაობაზე, დირექციას მიმართავენ და ასე იძენენ საჭირო საშუალებებს. ზოგან არასაკმარისი რესურსისა და მოსწავლეთა დიდი რაოდენობის გამო ფსიქოლოგს და სპეციალურ მასწავლებელს

---

[60] სსიპ ახალციხის №7 საჯარო სკოლა, სსიპ თბილისის №203 საჯარო სკოლა.

[61] სსიპ ახალციხის №7 საჯარო სკოლა.

[62] სსიპ თბილისის №198 საჯარო სკოლა.

[63] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №1014/ნ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ. თავი V. ბრძანება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <https://bit.ly/3szuoJ4> [ბოლოს ნანახია 20.11.2023].

[64] მათ შორისაა: სსიპ თბილისის №202, №198, №200 და სსიპ ქუთაისის №45 საჯარო სკოლები.

[65] მათ შორისაა: სსიპ თბილისის №198, №200, №202 და სსიპ ქუთაისის №45 საჯარო სკოლები.

განსაკუთრებული ძალისხმევის გაწევა უწევთ დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად.[66] რაც შეეხება ინკლუზიური განათლების სპეციალისტებთან თანამშრომლობას, გარკვეულ შემთხვევებში ინკლუზიური განათლების სპეციალისტები ესწრებიან საგაკვეთილო პროცესს, და რეკომენდაციებსაც უზიარებენ მასწავლებლებს, ასისტენტებსა და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. გაცემული რეკომენდაციები, ძირითადად, ზეპირსიტყვიერია. მონიტორინგის დროს გაცემული წერილობითი რეკომენდაციები მხოლოდ რამდენიმე სკოლამ წარმოადგინა.[67]

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- განახორციელოს სსსმ მოსწავლეთა დაფინანსების მექანიზმის იმგვარი ცვლილება, რაც უზრუნველყოფს მათი კომპლექსური საჭიროებების დაკმაყოფილებას, მათ შორის, გათვალისწინებულ იქნას ინფრასტრუქტურის/სასწავლო მასალების მისაწვდომობისა და საჭირო ინკლუზიური განათლების სპეციალისტის დაქირავების საკითხი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- მოახდინოს სსსმ მოსწავლეთა პირად საქმეში შესატანი დოკუმენტაციის ელექტრონული სახით დართვის შესაძლებლობის პროცედურულად გაწერა და სათანადო პროგრამული უზრუნველყოფა, რაც შესაძლებელს გახდის შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერით დადასტურებას;
- უზრუნველყოს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის მიერ ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისა და საგნის მასწავლებლებისთვის როგორც მოსწავლის აკადემიური, კოგნიტური და ფუნქციური უნარების შეფასებასთან, ისე საგნობრივი შეფასებების შედგენასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციების გაწევა;
- უზრუნველყოს იმ მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრა, რომლებთანაც უნდა იმუშაოს ინკლუზიური განათლების ერთმა სპეციალისტმა, თითოეული სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სერვისის მისაწოდებლად;

[66] მაგ.: სსიპ თბილისის 198-ე სკოლაში 200 მოსწავლეზე 2 სპეციალური მასწავლებელი და 1 ფსიქოლოგია გათვალისწინებული. თითოეული სპეციალისტი მუშაობს 12-მდე მოსწავლესთან, დანარჩენ მოსწავლეებთან ისინი ერთვებიან მასწავლებელთა მიმართვის შემთხვევაში.

[67] სსიპ თბილისის №198, №200 საჯარო სკოლებში, სსიპ ჭიათურის №12 საჯარო სკოლასა და სსიპ ახალციხის №7 საჯარო სკოლაში წარმოდგენილი იყო რამდენიმე რეკომენდაციის ხელნაწერი. თუმცა მათში მოცემული იყო მწირი ინფორმაცია.

- გონივრულ ვადაში უზრუნველყოს მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი ინკლუზიური განათლების სპეციალისტების შტატის დაშვება/სპეციალისტთა რაოდენობის ზრდა.

რესურსსკოლების ადმინისტრაციას:

- უზრუნველყონ სკოლების გარე და შიდა ინფრასტრუქტურის, ასევე, სასწავლო მასალების მისაწვდომობა სსსმ/შშმ მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად;
- უზრუნველყონ რესურსოთახისა და სპორტდარბაზისთვის სათანადო სივრცის გამოყოფა;
- უზრუნველყონ რესურსოთახების დამხმარე ტექნოლოგიური საშუალებებით, მრავალფეროვანი სასწავლო მასალითა და განმავითარებელი რესურსებით აღჭურვა;
- უზრუნველყონ რესურსოთახების მოწყობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში რესურსოთახების ორგანიზებისა და ფუნქციონირების გზამკვლევის შესაბამისად;
- უზრუნველყონ მასწავლებლებისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების პროაქტიულ რეჟიმში ინფორმირება ინკლუზიური განათლების მიმართულებით განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით;
- უზრუნველყონ მოსწავლის საგნობრივი და ზოგადი უნარების ჯეროვანი შეფასება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში;
- ზედამხედველობა გაუწიონ საგნის მასწავლებლების მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების დაცვითა და გაზიარებული ფორმების შესაბამისად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების წარმოებას;
- მონიტორინგი გაუწიონ ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მიერ სსსმ მოსწავლის ინტერვენციის გეგმის შედგენას;
- უზრუნველყონ გონივრული მისადაგების პრინციპის გათვალისწინებით, მოსწავლეებისათვის სასწავლო მასალისა და რესურსების მოდიფიცირება/ადაპტირება;
- უზრუნველყონ საგნის მასწავლებლებსა და ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტებს შორის ფუნქცია-მოვალეობების დადგენილი სტანდარტის შესაბამისად პრაქტიკაში განაწილება;
- მაქსიმალურად უზრუნველყონ ყველა მოსწავლის თანაბარი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში;
- უზრუნველყონ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდისათვის მიმართვა, მოსწავლეთა საჭიროებებისა და შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობის განსასაზღვრისთვის, განმეორებითი შეფასების მიზნით;
- უზრუნველყონ ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების მიერ განხორციელებული აქტივობების (გაკვეთილზე დაკვირვება, რეკომენდაციების

შემუშავება მშობლებისთვის, მასწავლებლებისთვის, ასისტენტებისთვის) დოკუმენტირება;

- ხელი შეუწყონ მასწავლებლების მხრიდან მოსწავლეთა მიმართ მაღალი მოლოდინების ჩამოყალიბებას, შესაბამისი მიზნების დასახვასა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას;
- უზრუნველყონ ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის შემუშავება და სათანადო პროცედურების განხორციელება დაწყებით, საშუალო/საბაზო საფეხურზე, მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად;
- სსსმ/შშმ მოსწავლეებისა და მათი თანატოლების ჩართულობით განახორციელონ მრავალფეროვანი ღონისძიებები, სოციალური ინკლუზიის ხელშესაწყობად.

4. ადამიანური რესურსები და კვალიფიკაცია

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო სკოლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი ადამიანური რესურსითა და პროგრამებით/სერვისებით, რომელთა დაფინანსებას სახელმწიფო უზრუნველყოფს.[68] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო[69] სკოლას ავალდებულებს, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის საჭიროების გამოვლენიდან ერთი კვირის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისი მოთხოვნით მიმართოს სამინისტროს. ამასთანავე, „ეროვნული სასწავლო გეგმა“ ადგენს, რომ სკოლის ადმინისტრაციის ბრძანებით, თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. სკოლის ისგ ჯგუფში შედის - სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები.[70]

ამ საკანონმდებლო მოთხოვნის მიუხედავად, არ არის განსაზღვრული, კონკრეტულად (ან მაქსიმუმ) რამდენ მოსწავლესთან შეიძლება მუშაობდეს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, მათ შორის, რესურსსკოლების შემთხვევაში. რესურსსკოლების სპეციფიკიდან

---

[68] „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი, დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3M2nMZX > [ბოლოს ნანახია 18.01.2024].

[69] საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 21.02.2018 წლის ბრძანება №16/ნ „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარების და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“, 22-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, დოკუმენტი მისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/45eHY1T > ბოლოს ნანახია [20.10.2023 წელს].

[70] „ეროვნული სასწავლო გეგმა“ - სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული და კონცეპტუალური ნაწილი (8.10.2018) – VIII თავი, მუხლი 42 – 1 და 2. დოკუმენტი მისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/40cFrnT > ბოლოს ნანახია [01.11.2023 წელს].

გამომდინარე, ყველა მოსწავლე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა და შესაბამისად, თითოეული მათგანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინკლუზიური განათლების სპეციალისტით.

რესურსსკოლების მიერ გამოცემული ბრძანებისა და ისგ ჯგუფის შეხვედრის ოქმების თანახმად, თითოეულ ჯგუფში შედის მინიმუმ ერთი ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. თუმცა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნების ანალიზის, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებისა და ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ყველა რესურსსკოლაში ადამიანური რესურსის დეფიციტია.

რესურსსკოლებში საშტატო განრიგით სპეციალისტები შერჩეული არიან სპეციფიკიდან გამომდინარე. მთლიანობაში სკოლებს ემსახურებიან ინკლუზიურ განათლებაში ჩართული შემდეგი სპეციალისტები: ფსიქოლოგი, სპეციალური მასწავლებელი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი, ოკუპაციური თერაპევტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, ჟესტური ენის სპეციალისტი, მობილობისა და სივრცითი ორიენტაციის ტრენერი, სსსმ პირის ასისტენტი.[71]

სპეციალისტების არსებული რაოდენობა, სიმცირის გამო, ვერ ახერხებს რესურსსკოლების ყველა სსსმ მოსწავლის შეფასების, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასა და/ან მონიტორინგში სრულყოფილად ჩართვას და მუშაობენ მხოლოდ იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც, მათი აზრით,[72] მეტად გამოხატული სირთულეები აქვთ. ინკლუზიური განათლების სპეციალისტების ფუნქცია-მოვალეობას, რიგ შემთხვევებში, დამრიგებლები ითავსებენ, რომლებიც არ არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები. გამოწვევას წარმოადგენს ფინანსური რესურსებიც, საჭირო კადრის დასასაქმებლად.[73]

მონიტორინგის დროს ჩატარებული ინტერვიუების შედეგად აღმოჩნდა, რომ რესურსსკოლებს ხშირად აქვთ სსსმ პირის ასისტენტის კადრის გადინების პრობლემა. ისინი, დაბალი

[71] საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 21.02.2018 წლის ბრძანება №16/ნ „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარების და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“, მე-2 მუხლი, დოკუმენტი მისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/45eHY1T > ბოლოს ნანახია [20.10.2023 წელს].

[72] ინტერვიუს დროს მასწავლებლები, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები ამბობდნენ, რომ დამატებით მუშაობდნენ მხოლოდ იმ მოსწავლეებთან, რომელთაც გამოხატული ადაპტური უნარების სირთულეები და ქცევითი სირთულეები აღენიშნებოდათ, ამის საჭიროებას კი შეფასებისა და ერთობლივი მსჯელობის საფუძველზე განსაზღვრავდნენ.

[73] განსაკუთრებით საყურადღებოა სსიპ ქუთაისის №45 საჯარო სკოლა, რომელსაც მონიტორინგის დროისთვის, არ ჰყავდა სპეციალური მასწავლებელი, სკოლაში კი ირიცხებოდა 25 სსსმ მოსწავლე. ადმინისტრაციის განცხადებით, გამოცხადდა კონკურსი, მაგრამ ვერ მოხერხდა შესაბამისი კადრის შერჩევა. სპეციალური მასწავლებლის ფუნქციას წლის დასაწყისში ითავსებდა დირექტორი, თუმცა მონიტორინგის დროს (7.06.2023) აღარ იყო ამ პოზიციაზე და საჭიროების შემთხვევაში, აძლევდა რეკომენდაციებს მასწავლებლებს. სპეციალური მასწავლებლის საჭიროების მიუხედავად, მონიტორინგის ეტაპზე კონკურსი გამოცხადებული არ ყოფილა.

ანაზღაურების გამო[74] ტოვებენ სკოლას ან გადადიან სხვა პოზიციაზე (ძირითადადსპეციალური მასწავლებლის პოზიციაზე), რის გამოც საგანმანათლებლო დაწესებულებებს უწევთ ახალი ასისტენტების მოძიება, რაც დამატებით დროს საჭიროებს.

პრობლემურ საკითხად გამოიკვეთა სსსმ მოსწავლეზე თანხის გამოყოფის საკითხიც. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის №476 დადგენილებით[75] განსაზღვრულია, კონკრეტული რაოდენობის სსსმ მოსწავლეზე რა თანხა უნდა იყოს გამოყოფილი, 50-ზე მეტი სსსმ მოსწავლისთვის ერთი და იგივე თანხაა განსაზღვრული.[76] როგორც უკვე აღინიშნა, გარკვეულ შემთხვევებში რესურსსკოლებში სსსმ მოსწავლეთა რაოდენობა აღემატება 50-ს,[77] რომელთაც ხშირად აქვთ სპეციფიკური სირთულეები და საჭიროებენ ერთზე მეტი ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მხარდაჭერას, რასაც არსებული ფინანსური რესურსებით ვერ უზრუნველყოფენ.

ვინაიდან არ არსებობს საგამონაკლისო ჩანაწერი რესურსსკოლებისთვის, ირღვევა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიხედვითაც, ყველა მოსწავლისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს განათლების მიღება ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.[78]

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია დადგენილებაში რესურსსკოლებისთვის სპეციფიკური ჩანაწერის დამატება, რომლის საფუძველზეც გაიზრდება მათი დაფინანსება და შესაძლებელი გახდება შესაბამისი სპეციალისტების - სპეციალური მასწავლებლის, ინდივიდუალური ასისტენტის, ფსიქოლოგის, ენისა და მეტყველების სპეციალისტის, ჟესტური ენის თარჯიმნის კადრის აყვანა.

---

[74] საჯარო სკოლებისთვის გაზიარებული დოკუმენტი „საჯარო სკოლის რეკომენდირებული სახელფასო ბადე“ - სსსმ პირის ასისტენტის მაქსიმალური შრომის ანაზღაურება საათში 4.5 ლარი, კვირაში მაქსიმალური დატვირთვა - 30 საათი, (თვეში 540 ლარი). დოკუმენტი სარეკომენდაციო ხასიათისაა და არის შიდა მოხმარების.

[75] „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილება, დოკუმენტი მისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3S4rBSo > ბოლოს ნანახია [20.10.2023 წელს].

[76] ამავე დადგენილების პირველი მუხლის მე-13 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით, განსაზღვრულია გამოყოფილი თანხის ოდენობა - 92,400.0 ლარი.

[77] ყველაზე დიდი რაოდენობა ირიცხება სსიპ თბილისის №198 საჯარო სკოლაში - 200 სსსმ მოსწავლე.

[78] „ინკლუზიური განათლება - თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება“. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „უ“ ქვეპუნქტი, დოკუმენტი მისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3Orlkgb >

სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი[79] არეგულირებს როგორც საგნის მასწავლებელთა, ისე სპეციალური მასწავლებლის პროფესიულ ვალდებულებებს, ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და ღირებულებებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მასწავლებელი.[80]

რესურსსკოლაში მომუშავე პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლებში არაერთგვაროვანი სიტუაციაა. ზოგიერთ სკოლაში[81] მუშაობენ სპეციალური განათლების ან/და ფსიქოლოგიის მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, ასევე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენერ-კონსულტანტები და სუპერვიზორები, რომელთა კომპეტენციაც მაღალია და მუშაობის ხარისხზეც აისახება.

ყველა სკოლაში, როგორც საგნის მასწავლებლებს, ისე ინკლუზიური განათლების სპეციალისტებს სხვადასხვა პერიოდში გავლილი აქვთ მრავალფეროვანი ტრენინგები/ სემინარები. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, გასულ პერიოდში და არა ბოლო 1-2 წლის განმავლობაში.[82] ინტერვიუს შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ ზოგიერთი სპეციალიზებული ტრენინგი არასაკმარისი აღმოჩნდა სათანადო ცოდნის მისაღებად.[83]

ზოგიერთ სკოლაში[84] დგას მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნის საკითხებზე ტრენინგის განახლების, ასევე, მოსწავლის საჭიროებების შეფასებისა და სპეციალური მასწავლებლის, ფსიქოლოგის ინტერვენციის გეგმების შემუშავების მიმართულებით სწავლება/გადამზადების განსაკუთრებული საჭიროება.

---

[79] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №1014/ნ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ. თავები V, VI და VII. ბრძანება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <https://bit.ly/3szuoJ4> ბოლოს ნანახია [20.11.2023].

[80] ამ სტანდარტის შესაბამისად, როგორც საგნის მასწავლებელი, ისე სპეციალური მასწავლებელი უნდა ფლობდნენ შესაბამის კვალიფიკაციას, ასევე კომპეტენციას სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლესთან მუშაობისთვის და მუდმივად ზრუნავდეს თვითგანვითარებაზე.

[81] მათ შორისაა: სსიპ თბილისის №198, №200, №202 სკოლები და სსიპ ქუთაისის №45 საჯარო სკოლა.

[82] აღსანიშნავია, რომ ყველა რესურსსკოლის დირექტორი და რამდენიმე მასწავლებელი ჩართულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ეგიდით მიმდინარე „ინკლუზიური განათლების ახალი მხარდამჭერი სისტემის დაფუძნების“ პროცესში, რომლის ფარგლებშიც პერიოდულად გადიან ტრენინგებს და იმაღლებენ კვალიფიკაციას.

[83] ამ მხრივ აღსანიშნავია სკოლების გამოცდილება, რომელთაც მოიწვიეს ტრენერები, გაიარეს სხვადასხვა ტრენინგი, თუმცა, ამ ტრენინგებზე არ ყოფილა რესურსსკოლის სპეციფიკა გათვალისწინებული, შესაბამისად, ამომწურავი პასუხები არ მიუღიათ.

[84] სსიპ თბილისის №202, №203, სსიპ ახალციხის №7 საჯარო სკოლა და სსიპ ჭიათურის №12 საჯარო სკოლა.

მნიშვნელოვანია სმენისა და მხედველობის შეზღუდვის მქონე მოსწავლეებთან მომუშავე სპეციალისტების გადამზადების საკითხი.[85] გარკვეული ტრენინგების გავლის მიუხედავად, აღმოჩნდა, რომ არსებული ცოდნა არასაკმარისია და მასწავლებლებს, ინკლუზიური განათლების სპეციალისტების ნაწილს კვლავ მეტი გადამზადება სჭირდება სმენისა და მხედველობის სტრატეგიების, ჟესტური ენის, ბრაილის შრიფტის, უსინათლო პირთათვის მისაწვდომი მასალის შესწავლის მიმართულებით. საგნის მასწავლებელთა ნაწილი, რომელიც ასწავლის სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეებს, არ ფლობს ჟესტურ ენას.[86] იმ პერსონალისთვის, რომელიც ფლობს ჟესტურ ენას, უმეტეს შემთხვევაში, ცოდნა არ არის საკმარისი საგნის სათანადოდ სწავლებისთვის.

4.1 ინკლუზიური განათლების სპეციალისტების ჩართულობა

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ რესურსსკოლების ფსიქოლოგების უმეტესობა ეყრდნობა მოსწავლის ჩარიცხვისას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, რასაც იყენებენ კონკრეტულ მოსწავლეებთან მუშაობისას. აგრეთვე, სასწავლო წლის დასაწყისიდან აკვირდებიან ბავშვის ქცევას, ესწრებიან საგაკვეთილო პროცესს, შედგენილი აქვთ ინდივიდუალური გრაფიკი. ფსიქოლოგების მხრიდან მოსწავლეთა ჯგუფში რეგულარულად მუშაობის პრაქტიკა აღინიშნა რამდენიმე სკოლაში,[87] ზოგიერთი სკოლის შემთხვევაში კი ფსიქოლოგები საჭიროებიდან გამომდინარე ატარებენ ჯგუფურ შეხვედრებს.[88] გამოვლინდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ჯგუფში მუშაობა სპეციალისტებს სპონტანურად, სხვადასხვა სივრცეში უწევთ, ვინაიდან ხშირია მოსწავლეების მიერ გაკვეთილების თვითნებურად დატოვების შემთხვევები.[89]

რესურსსკოლების ფსიქოლოგები ძირითადად ინდივიდუალურად მუშაობენ გამოკვეთილი პრობლემების მქონე დაწყებითი საფეხურის სსსმ მოსწავლეებთან.[90] უმრავლეს შემთხვევაში,[91] ინდივიდუალური მუშაობა წინასწარ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად მიმდინარეობდა.

---

[85] სსიპ თბილისის №202, №203 და სსიპ ქუთაისის №45 საჯარო სკოლა.

[86] აღსანიშნავია, რომ ამ სკოლებში მუშაობს ჟესტური ენის რამდენიმე თარჯიმანი, თუმცა, ერთი მხრივ, მათი რაოდენობა არასაკმარისია ყველა გაკვეთილზე ჩართულობის უზრუნველსაყოფად, მეორე მხრივ კი, ბარიერი იქმნება მოსწავლეებთან კომუნიკაციის პროცესში.

[87] ფსიქოლოგების ჯგუფური მუშაობის პრაქტიკა აღინიშნა სსიპ თბილისის №200 და სსიპ ჭიათურის №12 საჯარო სკოლებში.

[88] მაგ.: სსიპ ქუთაისის №45 საჯარო სკოლა.

[89] მაგ.: სსიპ ახალციხის №7 საჯარო სკოლა.

[90] სსიპ თბილისის 198-ე საჯარო სკოლის ფსიქოლოგი მუშაობს 6 ქცევითი სირთულის მქონე მოსწავლესთან, სსიპ თბილისის №203 საჯარო სკოლაში - 12 მოსწავლესთან, სსიპ ახალციხის №7 საჯარო სკოლაში - 6 მოსწავლესთან, სსიპ თბილისის №200 საჯარო სკოლაში - 5 მოსწავლესთან, სსიპ ჭიათურის №12 საჯარო სკოლაში – 5 მოსწავლესთან, ხოლო სსიპ ქუთაისის №45 საჯარო სკოლაში – 2 მოსწავლესთან.

[91] სსიპ თბილისის №202 საჯარო სკოლის ფსიქოლოგის ინფორმაციით, მუშაობს დაახლოებით 20 მოსწავლესთან, თუმცა ინდივიდუალური განრიგი არ წარმოუდგენია.

სხვა შემთხვევაში, ფსიქოლოგების მიერ გაწეული მუშაობა განისაზღვრებოდა საგნის მასწავლებლის ან მშობლის მიმართვიანობის საფუძველზე. ინდივიდუალური მუშაობა მიმდინარეობს კოგნიტური ფუნქციონირების და აკადემიური უნარების გაუმჯობესების კუთხით. საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგები მოსწავლეებს ამისამართებენ შესაბამის სპეციალისტებთან, თუმცა ამგვარი შემთხვევა მხოლოდ ორ სკოლაში მოხდა.[92]

ფსიქოლოგების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია დასტურდება დოკუმენტირებული ჩანაწერების შესწავლის საფუძველზე. ამ მხრივ, დადებითად უნდა აღინიშნოს თბილისის №198 და №200 საჯარო სკოლების ფსიქოლოგების მუშაობის პრაქტიკა. სპეციალისტების მუშაობის ამსახველი დოკუმენტები ამავე სკოლებმა სრულად მოგვაწოდეს, ხოლო ზოგიერთ სკოლაში ჩანაწერები ნაწილობრივ იწარმოება[93] ან/და არ მოგვეწოდა მოთხოვნის შესაბამისად.[94]

გარდა სასწავლო პროცესისა, ინკლუზიური განათლების სპეციალისტების ჩართულობა მნიშვნელოვანი კომპონენტია პანსიონური მომსახურებისას. რესურსსკოლებიდან პანსიონური მომსახურება არ ჰქონდა ერთ სკოლას.[95] ხოლო იმ სკოლებიდან, რომლებიც სსსმ/შშმ მოსწავლეებს 24-საათიან მომსახურებას სთავაზობენ, პანსიონურ ნაწილში ფსიქოლოგის მომსახურება მხოლოდ ორ სკოლაში გამოვლინდა. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს თბილისის №200 საჯარო სკოლის დადებითი პრაქტიკა, სადაც ფსიქოლოგის მიერ შესრულებული სამუშაო შეესაბამება სკოლის და პანსიონური ნაწილის სპეციფიკას.[96]

---

[92] მაგ.: სსიპ თბილისის №198 საჯარო სკოლის ფსიქოლოგს გადამისამართების 3 შემთხვევა ჰქონდა, სსიპ თბილისის №200 საჯარო სკოლის ფსიქოლოგს - 1.

[93] სსიპ ახალციხის №7 საჯარო სკოლის ფსიქოლოგს ხელით ჩანაწერები გაკეთებული აქვს სპეციალურად გამოყოფილ რვეულში, გარდა ამისა, სკოლის ადმინისტრაციამ მოგვაწოდა ფსიქოლოგის და სპეც. პედაგოგის მოსწავლეებთან გაწეული მუშაობის ამსახველი 2021-2022 სასწავლო წლის ანგარიში. სსიპ ქუთაისის №45 საჯარო სკოლის ფსიქოლოგის მიერ მოწოდებული დოკუმენტები ძირითადად ელექტრონულად არის შევსებული, ხოლო ფსიქოლოგის მიერ გაწეული სამუშაოს აღწერა და ინტერვენციის აღრიცხვა სპეციალურ ფორმაში ხელით არის შევსებული. სსიპ ჭიათურის №12 საჯარო სკოლის ფსიქოლოგმა მოგვაწოდა ბენეფიციარის შეფასების ბარათები (სულ 8 მოსწავლეზე) და ბენეფიციარის ინდივიდუალური მომსახურების გეგმა (წლიური), ინდივიდუალური მომსახურების გეგმის მონიტორინგი (მოკლედ ასახული) და მიღწეული შედგები.

[94] სსიპ თბილისის №203 და №202 საჯარო სკოლებს ფსიქოლოგების მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ მოუწოდებიათ.

[95] სსიპ თბილისის №198 საჯარო სკოლა.

[96] პანსიონის ფსიქოლოგს აღმზრდელებისთვის გაწერილი აქვს რეკომენდაციები, რომლებიც შეეხება მოსწავლეებთან სხვადასხვა უნარზე მუშაობის სპეციფიკას, მაგ.: აღქმა და ვიზუალურ-სივრცითი უნარები, სივრცეში ორიენტირება, ნატიფი მოტორიკა და სხვ. ფსიქოლოგს, ასევე, დოკუმენტირებული აქვს ქცევაზე მუშაობის გეგმა ქცევის გამოყენებითი ანალიზის პრინციპების შესაბამისად. ფსიქოლოგი მუშაობს სენსორული უნარების განვითარების კუთხით, სუპერვიზირებას უწევს სენსორული გეგმით მომუშავე სპეციალისტებს. მას შედგენილი აქვს სენსორული უნარების განვითრების ინდივიდუალური გეგმა, სადაც ჩართული სპეციალისტები არიან ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, აღმზრდელი.

ფსიქოლოგების სამუშაო დატვირთვა ყველა რესურსსკოლისთვის განსხვავებულია. ფსიქოლოგების უმეტესობა მუშაობს სრული დატვირთვით.[97] უნდა აღინიშნოს, რომ სკოლებში, მოსწავლეთა რაოდენობასთან შედარებით, არასაკმარისი ფსიქოლოგია დასაქმებული. სპეციალისტის არასრული სამუშაო დატვირთვის შემთხვევაში, ფსიქოლოგის მიერ შესრულებული სამუშაო ვერ აკმაყოფილებს რესურსსკოლების სპეციფიკიდან გამომდინარე მოთხოვნებს.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა სპეციალისტების მხრიდან მშობლების კონსულტირების დაბალი მაჩვენებელი. ფსიქოლოგები მშობლებთან ძირითადად სატელეფონო საუბრის გზით ამყარებენ კომუნიკაციას. მათთან პირისპირ შეხვედრები იშვიათია მშობელთა დაბალი ჩართულობის გამო.[98] ინკლუზიური განათლების სპეციალისტები მშობლებს ისგ ჯგუფის შეკრების დროს ხვდებიან და სხდომის დასრულების შემდეგ საუბრობენ მათთვის საინტერესო საკითხებზე.[99]

რესურსსკოლებში ასისტენტების ფუნქციები დაყოფილია შემდეგნაირად: სსსმ მოსწავლის პერსონალური ასისტენტი, მასწავლებლის ასისტენტი და აღმზრდელის ასისტენტი (პანსიონური მომსახურების ნაწილში). ზოგიერთ შემთხვევაში, კლასებში, სადაც ირიცხებოდნენ მრავლობითი შეზღუდვის და ქცევითი სირთულის მოსწავლეები, ერთი ასისტენტი მიმაგრებული იყო მთლიან კლასზე, ხოლო გამოკვეთილი სირთულის მქონე მოსწავლეს ჰყავდა პერსონალური ასისტენტი.[100]

მონიტორინგის დროს, სასწავლო პროცესზე დაკვირვებამ, ინტერვიუმ და დოკუმენტაციის შესწავლამ გამოავლინა, რომ რესურსსკოლებში არ არის ასისტენტების საკმარისი რაოდენობა.

---

[97] თუმცა სსიპ თბილისის №203 საჯარო სკოლის ორი ფსიქოლოგიდან ერთი მუშაობს კვირაში სამი დღე, სსიპ ქუთაისის №45 საჯარო სკოლის ფსიქოლოგს აქვს 10-საათიანი დატვირთვა კვირაში, მუშაობს კვირაში სამი დღე.

[98] მშობლებისთვის გაცემული რეკომენდაციები აღმოჩნდა მხოლოდ ორ სკოლაში, სსიპ თბილისის №200 და №198 საჯარო სკოლებში ფსიქოლოგებს აქვთ ინდივიდუალური მუშაობის შემდგომ მშობლისთვის გაცემული რეკომენდაციები, რომლებიც დოკუმენტირებულია.

[99] ინტერვიუს დროს სსიპ ქუთაისის №45, სსიპ ჭიათურის №12 და სსიპ თბილისის №202 საჯარო სკოლების ფსიქოლოგები აღწერდნენ მათი ჩართულობით მშობლებთან მუშაობის კონკრეტულ ფაქტებს, თუმცა ისინი არც მათი, არც სკოლის მხრიდან დოკუმენტირებული არ არის.

[100] სკოლის მოსწავლეთა საერთო რაოდენობასთან ასისტენტების რაოდენობრივი შეფარდება ასე გამოიყურება: სსიპ ახალციხის №7 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობაა - 26, ასისტენტი - 2; სსიპ თბილისის №203 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა - 92, ასისტენტი - 1; სსიპ თბილისის №200 რესურსსკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა - 76, ასისტენტი - 10; სსიპ თბილისის №198 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა - 200, ასისტენტი - 22 (აქედან 3 აღმზრდელის); სსიპ თბილისის №202 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა - 51, ასისტენტი -10, სსიპ ქუთაისის №45 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა - 26, ასისტენტი -2; სსიპ ჭიათურის №12 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა - 25, ასისტენტი - 2.

განსხვავებული პრაქტიკა აქვს თბილისის №202 საჯარო სკოლას, სადაც შედარებით მეტი რაოდენობის ასისტენტი ჰყავთ.[101]

სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებების გაცნობისას აღმოჩნდა, რომ გაცემულ რეკომენდაციებში მითითებულია გაცილებით მეტი სსსმ პირის ასისტენტის ჩართულობის საჭიროება, ვიდრე სკოლას ჰყავს დასაქმებული.[102]

ასისტენტები სსსმ მოსწავლეებს ეხმარებიან გადაადგილებაში, პირადი ჰიგიენის, სველი წერტილებით სარგებლობის უნარებში, უწევენ მეთვალყურეობას. მონიტორინგის დროს ნაკლებად შესამჩნევი იყო მათი ჩართულობა მოსწავლისთვის საგაკვეთილო პროცესის აქტივობებში დახმარების კუთხით. მსგავსი დახმარების გასაწევად მათ არ აქვთ საჭირო კომპეტენცია. არ აქვთ გავლილი საჭირო ტრენინგები. ასევე არ ჰქონდათ მიღებული დეტალური ინსტრუქცია/რეკომენდაციები სწავლის პროცესში დახმარების ან/და ქცევის მართვის სტრატეგიებთან დაკავშირებით.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ რესურსსკოლების სპეციფიკიდან გამომდინარე შეუსაბამოდ დაბალია სპეციალური მასწავლებლების რაოდენობა.[103]

სპეციალური მასწავლებლები, ისგ ჯგუფთან ერთად მონაწილეობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენაში. გეგმით გაწერილი მიზნების განსახორციელებლად სსსმ მოსწავლეებთან მუშაობენ ინდივიდუალურად, წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით. სპეციალური მასწავლებლები ინდივიდუალურად მუშაობენ საშუალოდ 5-6 მოსწავლესთან, თითოეულთან კვირაში 2-ჯერ.

სკოლების სპეციფიკიდან გამომდინარე, თბილისის №202 საჯარო სკოლას ჰყავს მობილობისა და სივრცითი ორიენტაციის სპეციალისტი, ხოლო თბილისის №203 და ქუთაისის №45 საჯარო სკოლებს - ჟესტური ენის თარჯიმანი.

---

[101] გამომდინარე იქიდან, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ინტეგრირებული კლასი (ჰომოგენური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, სხვადასხვა კლასში ჩარიცხული, ერთი ასაკის ან არაუმეტეს 3-წლიანი ასაკობრივი სხვაობის მოსწავლეთა ერთობა), სადაც ირიცხება 10 სსსმ მოსწავლე, თითოეულ ბავშვს ინდივიდუალურად მიმაგრებული ჰყავს პერსონალური ასისტენტი. ხოლო ამავე სკოლის სხვა სსსმ მოსწავლეებისთვის არცერთი ასისტენტი არ მოიაზრება დამხმარედ.

[102] საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 21.02.2018 წლის ბრძანება №16/ნ „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარების და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 31, დოკუმენტი მისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/45eHY1T> [ბოლოს ნანახია; 18.01.2024].

[103] ყველაზე მეტი, სამი სპეციალური მასწავლებელი დასაქმებულია სსიპ თბილისის №200 და სსიპ ჭიათურის №12 საჯარო სკოლებში, სსიპ თბილისის №203, №198 და №202 საჯარო სკოლებში დასაქმებულია ორი სპეციალური მასწავლებელი, სსიპ ახალციხის №7 საჯარო სკოლას ჰყავს ერთი სპეციალური მასწავლებელი, ხოლო სსიპ ქუთაისის №45 საჯარო სკოლაში სპეციალური მასწავლებლის ადგილი ვაკანტურია.

მონიტორინგის შედეგების მიხედვით უნდა ითქვას, რომ რესურსსკოლებში ინკლუზიური განათლების სპეციალისტების რაოდენობა საკმარისი არ არის ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესისთვის. დასაქმებულ სპეციალისტთა ძალისხმევა მეტწილად პრობლემური ქცევის მქონე მოსწავლეებისკენ არის მიმართული. შედეგად, ქცევის სირთულის არმქონე სსსმ/შშმ მოსწავლეთა უმრავლესობა ვერ იღებს საჭირო მომსახურებას.

პრობლემურია სპეციალისტების ანაზღაურების წესი, რომელიც არათანაბარ პირობებში ამყოფებს ინკლუზიურ განათლებაში თანაბრად ჩართულ პირებს. ფსიქოლოგების ანაზღაურება ბევრად ნაკლებია სპეციალური მასწავლებლის ანაზღაურებაზე, ხოლო ასისტენტის ხელფასი ძალიან დაბალია, რაც იწვევს კონკრეტულ პოზიციებზე მოთხოვნის დეფიციტს და კადრის გადინებას. შედეგად, სპეციალისტები ხშირად იცვლებიან. ამასთანავე, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც სპეციალისტს, მრავალწლიანი გამოცდილების მიუხედავად, საჭირო და საკმარისი რაოდენობით გადამზადება/ტრენინგი უახლესი სტანდარტებისა და მიდგომების შესახებ, გავლილი არ ჰქონია.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- გაატაროს ღონისძიებები ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების - ფსიქოლოგის, სსსმ მოსწავლის ასისტენტის, ჟესტური ენის სპეციალისტის, ჟესტური ენის თარჯიმნისა და მეტყველების სპეციალისტის რეკომენდებული ანაზღაურების გასაზრდელად.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- უზრუნველყოს სკოლებში დასაქმებულ მასწავლებელთა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტთა გადამზადება სსსმ/შშმ მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროების თაობაზე, სპეციალიზებული პროფილისა და პრაქტიკაზე ორიენტირებული სატრენინგო მოდულების/პროგრამების გამოყენებით. მათ შორის, მოსწავლეთა შეფასებაზე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (საგნობრივი ნაწილისა და ინტერვენციის გეგმა) შედგენაზე, სწავლა-სწავლების ეფექტიან სტრატეგიებზე, სასწავლო მასალების/რესურსების შექმნასა და მოდიფიცირებაზე, ასევე, კომუნიკაციის მეთოდებზე.

რესურსსკოლების ადმინისტრაციას:

- უზრუნველყონ ინკლუზიური განათლების სპეციალისტების (ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი, ჟესტური ენის სპეციალისტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, ენისა და მეტყველების თერაპევტი) საჭირო რაოდენობით დასაქმება;

- უზრუნველყონ ინდივიდუალური ასისტენტების საკმარისი რაოდენობის დასაქმება შშმ/სსსმ მოსწავლეების ქცევითი სირთულის, ფუნქციური უნარების და სწავლაში დახმარების საჭიროებიდან გამომდინარე;
- ხელი შეუწყონ სპეციალისტების და მასწავლებლების თანამშრომლობითი ურთიერთობების გაუმჯობესებას;
- დაინერგოს ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მხრიდან წერილობითი რეკომენდაციების შემუშავება სსსმ/შშმ მოსწავლეების ქცევითი, ფსიქოემოციური თავისებურებების, სწავლაში დახმარების სტრატეგიების მასწავლებლებისთვის გაზიარების მიზნით;
- ფსიქოლოგმა, სპეციალურმა მასწავლებელმა ინდივიდუალურ ასისტენტებს საჭიროებისამებრ მიაწოდონ ზუსტი, თანმიმდევრული რეკომენდაციები სსსმ მოსწავლეებთან ეფექტიანი მუშაობისთვის;
- უზრუნველყონ, რომ სსსმ პირის ასისტენტი მოსწავლეს ეხმარებოდეს საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლის მიერ მიცემული ინსტრუქციის შესრულებაში, ასევე, გაკვეთილზე აქტივობების შესრულებაში.

5. ინკლუზიური განათლების შიდა და გარე მონიტორინგი

ინკლუზიურ განათლებაზე შიდა და გარე მონიტორინგის წესებს არეგულირებს „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი“.[104] ამ ბრძანებით, ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგის ჩატარების წესი განისაზღვრება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. მონიტორინგის მიზნით იქმნება შესაბამისი ჯგუფი, ხოლო ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგს სკოლა ატარებს არანაკლებ სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ.[105] რაც შეეხება გარე მონიტორინგს, ინკლუზიურ განათლებაზე გარე მონიტორინგს ატარებს სამინისტრო ან/და სამინისტროს მიერ განსაზღვრული შესაბამისი ორგანო/ორგანიზაცია, როგორც სკოლის წინასწარი შეტყობინებით, ისე შეუტყობინებლად.[106]

რესურსსკოლებში ჩატარებულმა მონიტორინგმა ცხადყო, რომ დირექტორის ბრძანების საფუძველზე, შესაბამისი გუნდი ყველა სკოლაში შექმნილია. ზოგიერთ სკოლაში[107] შედგენილი იყო მიმდინარე წლის (2022-2023 სასწავლო წლის) მონიტორინგის გუნდის

[104] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი“. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/45eHY1T> ბოლოს ნანახია [17.10.2023].

[105] იქვე. მუხლი 34.

[106] იქვე. მუხლი 35.

[107] მათ შორისაა: სსიპ თბილისის №203, №200, №198 საჯარო სკოლები და სსიპ ჭიათურის №12 საჯარო სკოლა.

დასკვნა, სხვა შემთხვევაში[108] კი წარმოდგენილი იყო წინა წლის (2021-2022 სასწავლო წლის) მონიტორინგის შედეგები. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ინკლუზიური განათლების სპეციალისტებს და მასწავლებლებს უჭირთ მონიტორინგის ინსტრუმენტზე, ჯგუფის შემადგენლობასა და ფუნქციებზე ზუსტი ინფორმაციის მოწოდება. სკოლების მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი დასკვნები უმეტეს შემთხვევაში არის ზოგადი და არ მოიცავს შესამოწმებელი მიმართულებების სიღრმისეულ ანალიზს. ასევე არ იძლევა გამოწვევებისა და კონკრეტული ხარვეზების იდენტიფიცირების საშუალებას. აღსანიშნავია, რომ საჯარო სკოლების მიერ შიდა მონიტორინგის დასკვნების წარდგენის მიუხედავად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან უკუკავშირის მიწოდება არ ხდება. ამგვარი პრაქტიკა ართულებს მონიტორინგის შიდა მექანიზმის დახვეწას და ნეგატიურად აისახება სკოლაში ინკლუზიური განათლების ხარისხზე.

რაც შეეხება გარე მონიტორინგს, აღსანიშნავია, რომ სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სკოლებში ინკლუზიური განათლების მონიტორინგი ბოლო პერიოდში ყველა რესურსსკოლაში არ ჩატარებულა.[109] ხაზგასასმელია, რომ სკოლებში არ ხორციელდება ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მუშაობისა და საგაკვეთილო პროცესებში სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების შეფასება.

რეკომენდაციები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- უზრუნველყოს რესურსსკოლების მიერ ინკლუზიურ განათლებაზე განხორციელებული შიდა მონიტორინგის დასკვნებზე უკუკავშირის მიწოდება, მონიტორინგის პროცესის დახვეწისა და ინკლუზიური განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;
- განახორციელოს უფრო ხშირი (მინიმუმ წელიწადში ერთხელ) გარე მონიტორინგი;
- მონიტორინგის პროცესში უზრუნველყოს ინკლუზიური განათლების კუთხით არსებული საჭიროებების სიღრმისეული შესწავლა, გამოვლენილ ხარვეზებზე რეკომენდაციების გაცემა და მათი შესრულების მონიტორინგი.

რესურსსკოლების ადმინისტრაციას:

- უზრუნველყონ ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგში სსსმ მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობა და სიღრმისეული მონიტორინგის განხორციელება (მათ შორის, ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მუშაობისა და სტანდარტით გათვალისწინებული მოვალეობების

[108] სსიპ ახალციხის №7, სსიპ თბილისის №202 საჯარო სკოლა.

[109] ამ კუთხით გამონაკლისია სსიპ თბილისის №198 საჯარო სკოლა.

სათანადოდ შესრულების შეფასების მიზნით) არანაკლებ სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ;

- შიდა მონიტორინგის პროცესში უზრუნველყონ რესურსსკოლაში ინკლუზიური განათლების კუთხით არსებული ხარვეზების სრულყოფილად იდენტიფიცირება და დოკუმენტირება, ასევე, შედეგზე ორიენტირებული აქტივობების გაწერა.

6. ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია მოსწავლის უფლება, დაცული იყოს ძალადობისა და დისკრიმინაციისგან. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დაუშვებელია სკოლაში ძალადობა მოსწავლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ფიზიკური ან/და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია, დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.[110]

კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად, რესურსსკოლების უმრავლესობას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი „ბავშვის მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა წესების შესახებ“.[111]

მონიტორინგის ვიზიტებიდან და გამოთხოვილი დოკუმენტებიდან მიღებული ინფორმაციით იკვეთება, რომ რესურსსკოლების პერსონალი ძალადობის ან დისკრიმინაციის ფაქტის შესახებ აცნობებს სკოლის მანდატურს, ხოლო მანდატურის არარსებობის შემთხვევაში ადმინისტრაციას და შიდა მოკვლევით წყდება შესაბამის უწყებასთან მიმართვიანობის საკითხი. მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ ყველა სკოლას, სკოლის დირექტორის შიდა ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული უსაფრთხოებისა და ძალადობის საკითხებზე უფლებამოსილი პირი, რომელიც არის სკოლის მანდატური, სკოლაში მანდატურის არარსებობის შემთხვევაში კი - სკოლის სასწავლო ნაწილი.[112]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით[113] განსაზღვრულია სასწავლო პროცესში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით ჩასატარებელი

---

[110] „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლი. დოკუმენტი მისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3M2nMZX > ბოლოს ნანახია [16.10.2023 წელს].

[111] შიდა რეფერირების პროცედურები არ აქვს დამტკიცებული სსიპ თბილისის №202 საჯარო სკოლას. თუმცა, „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2-ის („ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათი“) შესაბამის სამსახურებთან მიმართვიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (4 შემთხვევის გადამისამართება) ბოლო სამი წლის განმავლობაში, სწორედ ამ სკოლას ჰქონდა.

[112] 2 სკოლაში არის სასწავლო ნაწილი, 1 სკოლაში სკოლის ფსიქოლოგი, ხოლო დანარჩენში მანდატური.

[113] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანება №06/ნ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და

პრევენციული, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს გასატარებელი ღონისძიებები, რესურსსკოლებმა ვერ შეძლეს ამ ვალდებულების შესრულების თაობაზე ინფორმაციის დოკუმენტირებული სახით მოწოდება.[114] მართალია, არსებობს უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს ოქმი, რომელშიც მითითებულია ჩასატარებელი აქტივობები, მაგრამ არ არსებობს მსგავსი აქტივობების ჩატარების ამსახველი დოკუმენტური მასალა (დღის წესრიგი, ანგარიში შედეგების შესახებ და ა.შ.). საბჭოების საქმიანობას სკოლებში უფრო ფორმალური ხასიათი აქვს, ვიდრე ფუნქციური, რაც დასტურდება ორი სხვადასხვა სკოლის მრჩეველთა საბჭოს ოქმების თითქმის იდენტურობით.

აღსანიშნავია მონიტორინგის დროს გამოკვეთილი ტენდენცია, რომ უმრავლეს შემთხვევაში სკოლის პერსონალი საერთოდ უარყოფდა ძალადობის შემთხვევებს. ერთეული შემთხვევების დროს გადამისამართება ხდება მანდატურის სამსახურთან.[115] შესწავლილი შვიდი რესურსსკოლიდან, შესაბამის უწყებებთან (ძირითადად, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო (შემდგომში - სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო)) მიმართვიანობის დოკუმენტაცია წარმოადგინა მხოლოდ სამმა სკოლამ.[116] შესაბამისად, სკოლების უმრავლესობაში, ძალადობაზე ეჭვისა და ძალადობის შემთხვევების რეესტრი/აღრიცხვა არ იწარმოება. მოწოდებული დოკუმენტაციით, მიმართვა განხორციელდა ჯამში 7 შემთხვევაზე. შემთხვევების უმრავლესობაში, მიმართვიანობა გაკეთებულია ფიზიკური ძალადობის ინციდენტზე, მხოლოდ ერთ შემთხვევაში - სექსუალურ ძალადობაზე.

ადმინისტრაციისგან მიღებული ინფორმაციით, პასუხისმგებელ პირებს გავლილი აქვთ ბავშვთა მიმართ ძალადობისა და უსაფრთხოების საკითხებზე უფლებამოსილი პირის მოსამზადებელი ტრენინგი.[117] მიუხედავად ამისა, ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ პერსონალს არ აქვს ინფორმაცია არც რეფერირების შიდა პროცედურების შესახებ, და არც ძალადობასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან დაკავშირებით. მათი პასუხები ამ თემაზე ზოგადი ხასიათისაა. რესპონდენტები ხშირად იბნეოდნენ ძალადობის შესახებ კითხვაზე პასუხის გაცემისას ან უარყოფდნენ მსგავს ფაქტებს. მაგალითად, „ჩვენთან ასეთი

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, დოკუმენტი მისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/48MLbZh > ბოლოს ნანახია [12.10.2023 წელს].

[114] ინტერვიუებით დასტურდება სკოლების უმრავლესობაში გადაუდებელ სიტუაციაში რეაგირების სიმულაციური სწავლების ჩატარება, მიმდინარე წელს.

[115] სსიპ თბილისის №198 საჯარო სკოლას ჰქონდა შემთხვევა, სადაც მშობლის მხრიდან ბავშვზე ძალადობის ეჭვი გაჩნდა. გადამისამართება მოხდა მანდატურის სამსახურთან, გამოყენებული აქვთ რეფერირების დოკუმენტი. №202 სკოლაში აღინიშნა ძალადობის მხოლოდ ერთი შემთხვევა, ჩართეს მანდატურის სამსახური, ფაქტი არ დადასტურდა.

[116] ესენია: სსიპ თბილისის №202, №203 და №198 საჯარო სკოლები. რაც შეეხება შემდეგ სკოლებს - სსიპ თბილისის №200, სსიპ ახალციხის №7, სსიპ ჭიათურის №12 და სსიპ ქუთაისის №45 საჯარო სკოლებს, მათი თქმით, მათ ასეთი შემთხვევა არ ჰქონიათ და, შესაბამისად, არც შესაბამისი უწყებებისთვის მიუმართავთ.

[117] ტრენინგი ჩატარდა 2019 წელს და ორგანიზებული იყო მასწავლებელთა სახლის მიერ.

რამე არ ხდება“; „ჩვენთან ძალადობის შემთხვევები არ ფიქსირდება“; „თუ რამე მოხდება, ადმინისტრაციას შევატყობინებთ და ისინი მიხედავენ“. კითხვაზე, „თუ მსგავსი შემთხვევა მათთვის ცნობილი გახდება ბავშვის მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ ან გაუჩნდებათ ეჭვი, როგორ რეაგირებას განახორციელებენ, რა ნაბიჯებს გადადგამენ“, პერსონალის პასუხი თითქმის ყველა სკოლაში სტანდარტული იყო, მათი თქმით, ისინი ადმინისტრაციას მიმართავენ.

სკოლების უმრავლესობაში არ არის გააზრებული ძალადობასა და რეფერალზე პასუხისმგებელი პირის როლი, ვინაიდან ინტერვიუებში თანამშრომლები ასახელებენ არა სკოლის მიერ განსაზღვრულ მთავარ საკონტაქტო პირს, არამედ ზოგადად ადმინისტრაციას. ზოგიერთ შემთხვევაში, სკოლის თანამშრომლები ფლობდნენ ინფორმაციას ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების შესახებ, მაგრამ დოკუმენტი არასოდეს გამოუყენებიათ.

ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიუხედავად, გაირკვა, რომ პერსონალს არ აქვს გავლილი ტრენინგი უშუალოდ ბავშვთა უფლებებსა და ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე ან აქვთ მწირი და ზოგადი ცოდნა ამ მიმართულებით.[118] შესაბამისად, დაბალია ცნობიერება ძალადობის ამოცნობის კონკრეტული ნიშნებისა და მასზე რეაგირების შესახებ. პერსონალის თქმით, მსგავს საკითხებზე დირექცია მათ პერიოდულად აწვდის ინფორმაციას. თუმცა ადმინისტრაციამ ვერ წარმოადგინა ვერც პერსონალთან, და ვერც მოსწავლეებთან და მშობლებთან მსგავსი შეხვედრების ამსახველი დოკუმენტაცია.

ინტერვიუებით ირკვევა, რომ გარკვეული სახის საინფორმაციო შეხვედრები ტარდება, თუმცა ფრაგმენტულად, ამავე დროს, ბუნდოვანია ამ შეხვედრების ზუსტი შინაარსი, თუ როგორ გადაეცემა ინფორმაცია მონაწილეებს, რამდენადაა მასალა მათთვის გასაგები და მისაწვდომი, როგორია მოსწავლეთა უკუკავშირი.

მოსწავლეები არ ფლობდნენ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციას.[119] იმისათვის, რათა ბავშვები დაცულები იყვნენ მსგავსი შემთხვევებისგან, მათ უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია ძალადობასა და მისგან დაცვის მექანიზმებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ სკოლაში მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტს დაემთხვა წინა დღეს პოლიციის ვიზიტი, რომელიც იძიებს შშმ ბავშვების მიმართ ჩადენილი სავარაუდო ძალადობის შემთხვევებს. ადმინისტრაციის ინფორმაციით, სკოლის ყოფილი მოსწავლე ფიგურირებდა ამ მოკვლევაში (როგორც მოგვიანებით გაირკვა, სავარაუდო მსხვერპლის სტატუსით).[120]

---

[118] მხოლოდ უფლებამოსილი პირი არის მსგავსი ტრენინგის მონაწილე.

[119] ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ თანატოლებს შორის კონფლიქტების შესახებ, რომ ზოგჯერ ჰქონიათ უთანხმოება ერთმანეთთან, მაგრამ საუბრით მოუგვარებიათ და საბოლოოდ შერიგებულან.

[120] ეს მიუთითებს როგორც პერსონალთან, ისე ბავშვებთან ძალადობის საკითხებზე მუშაობის აუცილებლობაზე, რათა იყვნენ ინფორმირებულები თავიანთი უფლებების შესახებ და იცოდნენ იმ გზების შესახებ, რაც მათ დაეხმარებათ. ასევე, პერსონალის დამოკიდებულებას, რომ აქ არაფერი მსგავსი არ ხდება და არასდროს არაფერი შეუნიშნავთ, აყენებს ეჭვქვეშ თუნდაც იმ თვალსაზრისით,

შემოწმების ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით გამოვლინდა, რომ სკოლებში იკვეთება უგულებელყოფის შემთხვევები, რაც ძალადობის ერთ-ერთი სახეა. მაგალითად, ბავშვები სახლიდან ხშირად მოუწესრიგებლები ბრუნდებიან, ჰყავთ მკბენარები, ან/და აქვთ დაზიანებები (მოწოდებული ინფორმაციით, ხშირად ეს არის თვითდაზიანებები). რაც შეეხება სილურჯეებს/დაზიანებებს, გადამოწმება ძირითადად ხდება მშობლებთან და პასუხები სტანდარტულია - თვითდაზიანება ან შემთხვევით დაზიანება, რომელიც ხშირად დაკავშირებულია ბავშვის მდგომარეობასთან.

სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით, ასეთ დროს საკუთარი ძალებით ცდილობენ საკითხის გადაწყვეტას, რაც გამოიხატება მშობელთან გასაუბრებაში, მიზეზების გარკვევაში. სკოლების უმრავლესობაში, ჩანაწერები,[121] რომლებიც შეიძლება უკავშირდებოდეს ძალადობას ან უგულებელყოფას, არ არის სრულყოფილი სახით მოწოდებული - ჩანს პრობლემა, თუმცა არ ჩანს შემდგომი რეაგირება. მაგალითად, ჩანაწერთა უმეტესობაში[122] არ აისახება მშობელთან კომუნიკაციის ნაწილი და მიღწეული შედეგი.[123]

უგულებელყოფის ერთ-ერთი ნიშანი შეიძლება იყოს სკოლის სისტემატური გაცდენები. რესურსსკოლების წარმომადგენელთა ცნობით, მოსწავლეთა მხრიდან სისტემატური გაცდენები არ ფიქსირდება. შესაბამისად, ამ კუთხით, მათ არ დასჭირვებიათ მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრისთვის ან სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთვის მიმართვა და დამატებითი ღონისძიებების გატარება. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იძლევა მოსწავლის სკოლაში სიარულის შესაძლებლობას, მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე, გამოიყენება შინსწავლების პრაქტიკა. გაცდენების აღრიცხვისა და შესაბამისი სამსახურისთვის მიმართვის თითქმის ნულოვანი მაჩვენებელი აჩენს კითხვებს იმასთან დაკავშირებით, რამდენად რეაგირებენ სკოლები ამგვარ შემთხვევებზე.

მონიტორინგის დროს გამოვლინდა პერსონალის მხრიდან მოსწავლეებზე სავარაუდო ძალადობის შემთხვევებიც,[124] რომელთა საფუძველზე მონიტორინგის პროცესში მიმდინარეობდა დისციპლინური წარმოება. ამგვარი შემთხვევები ადასტურებენ

რომ აუცილებელი არ არის მათ სივრცეში ხდებოდეს და ან პანსიონში ყოფნის პერიოდში. ზოგადად, ბავშვების გაძლიერება მათ უფლებებზე, მნიშვნელოვანი სტრატეგიაა მათ დასაცავად, როგორც ახლა, ისე სამომავლოდ, ზრდასრულ ცხოვრებაში.

[121] მაგალითად, სამედიცინო ჟურნალი მოსწავლის დათვალიერების შესახებ, სადაც ფიქსირდება ბავშვის მდგომარეობა, მათ შორის დაზიანებები

[122] ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს სსიპ ქ. თბილისის N200 საჯარო სკოლა, რომელიც დეტალურად აწარმოებს ჩანაწერებს.

[123] მაგალითად, სსიპ - ქ. ახალციხის N7 საჯარო სკოლის დოკუმენტაციის მიმოხილვით ირკვევა, რომ ბოლო ჩანაწერი პანდემიამდე პერიოდით თარიღდება (2020 წლის თებერვალში წყდება) და შემდეგ აღარ გაგრძელებულა დოკუმენტაციის წარმოება ამ კუთხით.

[124] სულ გამოვლინდა 2 ასეთი შემთხვევა. ერთი ეხება ბავშვის მიმართ ფიზიკური შებოჭვის დროს არაპროპორციული ძალის გამოყენებას, ხოლო მეორე დაწყებულია ასისტენტის მიმართ, რომელიც ბავშვზე განხორციელებული ძალადობის დროს არ იმყოფებოდა სასკოლო ტრანსპორტში.

რესურსსკოლებში კრიზისული სიტუაციების მართვის პროტოკოლისა და სახელმძღვანელო მითითებების არსებობისა და ამ მიმართულებით თანამშრომელთა მომზადების საჭიროებას.

მონიტორინგის ვიზიტის დროს ასევე ცნობილი გახდა არასათანადო და დამამცირებელი მოპყრობისა და დისკრიმინაციის შემთხვევების შესახებ. არასათანადო მოპყრობის მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ შემთხვევა, როცა ერთ-ერთ სკოლაში[125] შშმ პირებისთვის მისაწვდომი საპირფარეშო ჩაკეტილი იყო და პერსონალის განმარტებით, მას არ იყენებდნენ. ამასთანავე, სკოლაში ირიცხება ეტლით მოსარგებლე მოსწავლე. კითხვაზე, „თუ სად ხორციელდება ჰიგიენური პროცედურები მოსწავლისთვის", პასუხი იყო თავისუფალ საკლასო ოთახის მოფარებულ კუთხეში. ეს ბავშვისადმი ღირსეულ მოპყრობად ვერ ჩაითვლება, რადგან საკლასო სივრცე შეუფერებელია მსგავსი პროცედურის ჩასატარებლად.

დისკრიმინაციის შემცველი ქმედების კუთხით, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ თბილისის №202 საჯარო სკოლის[126] მდგომარეობა. მონიტორინგის ვიზიტის დროს, სკოლაში დაწყებული სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, სასწავლო პროცესი სხვა სკოლაში მიმდინარეობდა (თბილისის №126 საჯარო სკოლა). პანსიონურ ნაწილს კი იყოფდა ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლასთან.[127] ამ უკანასკნელისგან განსხვავებით,[128] თბილისის №126-ე საჯარო სკოლის ადმინისტრაცია დისკრიმინაციის, სტიგმისა და სტერეოტიპების შემცველ დამოკიდებულებას ავლენდა №202 სკოლის პერსონალისა და მათი მოსწავლეებისადმი, რაც გამოიხატა იმაში, რომ მათ არ შეეძლოთ ესარგებლათ სასწავლო დაწესებულების ცენტრალური შესასვლელით და ცალკე შესასვლელი სივრცე უნდა გამოეყენებინათ.

6.1 რთული ქცევის მართვა

საქართველოს სახალხო დამცველი, თავის ანგარიშებში წლების განმავლობაში მიუთითებს სასწავლო პროცესში რთული ქცევის მართვასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს. ეს პრობლემა მეტი სიმწვავით გამოიკვეთა რესურსსკოლების შემთხვევაში, რის ერთ-ერთ მიზეზად, ამ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სხვა საჯარო

---

[125] სსიპ თბილისის №202 საჯარო სკოლა.

[126] სკოლის კუთვნილ შენობაში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები და ახალი სასწავლო წლიდან ისინი დაუბრუნდებიან ძველ შენობას.

[127] აღსანიშნავია, რომ კეთილგანწყობილების ტენდენცია უფრო შესამჩნევია სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლაში, რომელიც პანსიონურ ნაწილს უთმობს სსიპ თბილისის №202 საჯარო სკოლის მოსწავლეებს. თუმცა, აქაც იკვეთება მნიშვნელოვანი გამოწვევები დათმობილი სივრცის კუთხით, რადგან სივრცე სამრეცხაო ფლიგელის ნაწილია და გარედან აქვს ხელით გაკეთებული წარწერა „სამრეცხაო".

[128] მოპოვებული ინფორმაციით, სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლა ავლენს ღიაობას და მაღალ თანამშრომლობით დამოკიდებულებას სკოლის პერსონალისა და მოსწავლეებისადმი.

სკოლებისგან განსხვავებით, უფრო მეტი რთული ქცევის მქონე მოსწავლის ყოფნა უნდა დასახელდეს.

რთულ ქცევად მიიჩნევა მოსწავლის ისეთი ქცევა, რომელიც თავად ბავშვის ან მისი გარემოცვის ფუნქციონირებაზე არასასურველ გავლენას ახდენს. იმისათვის, რათა განისაზღვროს, ქცევა არასასურველია თუ არა, არსებობს მთელი რიგი კრიტერიუმები, რომელთა თანახმად დგინდება, არის თუ არა ქცევა რთული. მაგალითად, ფიზიკურ ზიანს აყენებს თავს ან მის გარშემომყოფებს (მაგ., ხელს ან ფეხს ურტყამს თანატოლებს, კედელს, მერხს ურტყამს თავს, იწიწკნის თმას, კანს და ა.შ.); აზიანებს ფიზიკურ გარემოს (ხევს წიგნებს, რვეულებს, აზიანებს მერხს, კედლებს და ა.შ.); ხელს უშლის საკუთარ თავს ან სხვებს სწავლასა და განვითარებაში (გაკვეთილის მსვლელობისას დგება და იწყებს სიარულს, ყვირილს, არ იცავს რიგს და ა.შ.); ხელს უშლის ბავშვს ასაკის შესაბამისი სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში (ურტყამს ბავშვებს, უზიანებს ნივთებს, დასცინის ან მიმართავს უცენზურო სიტყვებით, რის გამოც თანატოლები უარს აცხადებენ ურთიერთობაზე; აწყობს ტანტრუმს და სხვ.).[129]

სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისთვის მნიშვნელოვანია გაკვეთილზე მასწავლებლები იყენებდნენ ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე მოსწავლის პრობლემური ქცევის შეფასების, პრევენციისა და მართვის მრავალფეროვან ტექნიკებს, მათ შორის, ფლობდნენ გამოყენებითი ქცევის ანალიზს.

რესურსსკოლებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ამ მხრივ მნიშვნელოვანი პრობლემაა სკოლის პერსონალის მხრიდან (საგნის მასწავლებლები, დამრიგებლები, სპეციალისტები) რთული ქცევის გამოვლენა. ზოგიერთ სკოლაში ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ, რომ საერთოდ არ აქვთ რთული ქცევის გამოვლენის შემთხვევა.[130] თუმცა, საპირისპიროდ, სსსმ/შშმ მოსწავლეებზე დაკვირვების გზით მიღებული ინფორმაციით და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, არაერთ შემთხვევაში ვლინდება რთული ქცევა. ზოგიერთ შემთხვევაში ქცევა გამოვლენილი იყო, თუმცა სკოლას არ ჰქონდა

[129] „ქცევის მართვის პოზიტიური მხარდაჭერა სკოლებში - პრევენციული აქტივობები“ გზამკვლევი მასწავლებლებისთვის, გვ. 8, დოკუმენტი მისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3QoD4ep > ბოლოს ნანახია [18.10.2023].

[130] მაგ.: სსიპ ახალციხის №7 საჯარო სკოლის პედაგოგი ინტერვიუს დროს უარყოფდა რთული ქცევის შემთხვევას, თუმცა ჩაკითხვის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ მსგავსი ქცევის გამოვლენას აქვს ადგილი. მას არ მიუმართავს ფსიქოლოგისთვის და არც სპეციალისტებს შეუსწავლიათ მოსწავლის ქცევა. შესაბამისად, არ მიუღია რაიმე სახის რეკომენდაცია ზეპირი ან წერილობითი ფორმით. სსიპ თბილისის №203 საჯარო სკოლაში საგნის მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ რთული ქცევის გამოვლენის შემთხვევა არ აქვთ. უმეტესად, საგაკვეთილო პროცესის ხელის შემშლელ პირობად ტელეფონების ხელში აღების სურვილია და ამგვარი ქცევის დარეგულირებას ახერხებენ. სსიპ თბილისის №202 სკოლის ფსიქოლოგის თქმით, მიმდინარე წელს არცერთ ბავშვზე არ აქვს რთული ქცევის მართვის გეგმა შედგენილი.

შემუშავებული რთული ქცევის მართვის გეგმა, ამასთანავე, საგნის მასწავლებლებს სპეციალისტებისგან არ ჰქონდათ მიღებული რეკომენდაციები.[131]

გამოწვევას წარმოადგენს თანამშრომელთა შორის კომუნიკაცია და ინფორმაციის გაცვლა რთულ ქცევასთან დაკავშირებით.[132] აქვე უნდა აღინიშნოს სექსუალურ ქცევასთან[133] დაკავშირებული სირთულეები, რომელთაც სპეციალისტები მუშაობის პროცესში აწყდებიან სასკოლო გარემოში. ქცევის სირთულის ამ ტიპის გამოწვევებს მასწავლებლები, უმეტესწილად ვერ უმკლავდებიან, საჭირო ცოდნის დეფიციტის გამო.[134]

სპეციალისტებს მხოლოდ ოთხ სკოლაში[135] აქვთ გამოვლენილი რთული ქცევა. ფსიქოლოგები ინდივიდუალურად მუშაობენ საშუალოდ 4-6 რთული ქცევის მქონე სსსმ/შშმ მოსწავლესთან. რთული ქცევის მართვის გეგმა კი მხოლოდ ორ სკოლაშია შემუშავებული.[136] ამავე სკოლებში არსებობს ფსიქოლოგების მიერ გაწერილი რთული ქცევის მართვასთან დაკავშირებული რეკომენდაციები მოსწავლესთან მომუშავე სკოლის სხვა პერსონალისა და მშობლებისთვის. მითითებულ შემთხვევებში ფსიქოლოგები რთული ქცევის იდენტიფიცირებას ახდენენ კლასში მოსწავლის ქცევაზე დაკვირვებით, მომართვიანობისა და საგნის მასწავლებლებთან ან/და დამრიგებლებთან აქტიური კომუნიკაციით, რაც, თავისთავად, თანამშრომლობით პროცესში სწორი კომუნიკაციის მაჩვენებელია და დადებით ჭრილში უნდა აღინიშნოს.[137]

---

[131] დადებითად უნდა შეფასდეს, რომ სსიპ თბილისის №200 საჯარო სკოლის ფსიქოლოგს და სპეციალურ მასწავლებელს შედგენილი აქვთ რთული ქცევის მართვისა და მოტივაციის გაზრდის მიზნით დეტალურად გაწერილი რეკომენდაციები (მაგ., როგორ უნდა მოიქცეს მშობელი მოსწავლის სახლში დაბრუნების შემდგომ, რეკომენდაციები ქცევის მართვისთვის, მოტივაციისთვის, ზოგადი რეკომენდაციები და ა.შ.). სკოლის ფსიქოლოგს შემუშავებული აქვს რეკომენდაციები საგნის მასწავლებლებისთვის კლასში მოსწავლის სექსუალურ ქცევასთან დაკავშირებით, რომელიც დეტალურად აღწერს, როგორ უნდა მართონ ამგვარი ქცევა. სსიპ თბილისის №200 საჯარო სკოლამ ასევე მოგვაწოდა სოციალიზაციისა და ინტეგრაციის ხელშემწყობი გეგმები, რომლებიც დაკავშირებულია ალტერნატიული გეგმის მიზნებთან.

[132] ხშირ შემთხვევაში, სკოლის მასწავლებლებისა და ფსიქოლოგების მიერ მოწოდებული ინფორმაცია განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. გარდა ამისა, მასწავლებლისგან მიღებული ინფორმაცია ერთ-ერთ მოსწავლესთან მიმართებით, გადამოწმდა სპეც. პედაგოგთან, ფსიქოლოგთან. შესაბამისად, დადგინდა, რომ მოსწავლის ქცევის აღწერა/შეფასება ერთმანეთს არ ემთხვეოდა.

[133] სექსუალური ქცევის მართვის შემთხვევა გამოიკვეთა მხოლოდ ორ სკოლაში, სსიპ თბილისის №200 საჯარო სკოლის ფსიქოლოგს შემუშავებული ჰქონდა რეკომენდაციები საგნის მასწავლებლებისთვის კლასში სექსუალური ქცევის მართვასთან დაკავშირებით, ხოლო სსიპ თბილისის №198 საჯარო სკოლის ფსიქოლოგს ჰქონდა გადამისამართება ნევროლოგთან.

[134] სექსუალური ქცევის მართვის საკითხებზე ტრენინგები გავლილი არ აქვთ.

[135] სსიპ თბილისის №198 საჯარო სკოლა, სსიპ თბილისის №200 საჯარო სკოლა, სსიპ ჭიათურის №12 საჯარო სკოლა და სსიპ თბილისის №203 საჯარო სკოლა.

[136] სსიპ თბილისის №198 საჯარო სკოლის ფსიქოლოგის თქმით, შესაძლებელია, მომართვიანობიდან გამომდინარე, დამატებით მუშაობა მოუწიოს 10-მდე ბავშვთან, განრიგით კი მუშაობს 6 ქცევითი სირთულის მქონე სსსმ მოსწავლესთან.

[137] სსიპ თბილისის №200 საჯარო სკოლაში შექმნილია მულტი-გუნდი, რომლის შემადგენლობაში შედიან სკოლის ფსიქოლოგები და სპეციალური მასწავლებლები, ერთობლივად მუშაობენ ქცევითი სირთულის მქონე მოსწავლეებთან.

დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ საგაკვეთილო პროცესში გამოკვეთილი ქცევითი სირთულის სსსმ მოსწავლეების ნაწილი ყურადღების მიღმა რჩება და ვერ ხერხდება მათი აქტივობებში ჩართვა, ვინაიდან მოსწავლისთვის არ ყოფილა გამოყოფილი პერსონალური ასისტენტი. მაგალითად, ერთ შემთხვევაში, ქცევითი სირთულის მქონე სსსმ მოსწავლეს, მართალია, მიმაგრებული ჰყავდა პერსონალური ასისტენტი, თუმცა მუშაობა ძირითადად მიმართული იყო უსაფრთხოების დაცვისკენ და არა საგაკვეთილო პროცესში ჩართვისკენ.[138]

6.2 უკუკავშირისა და გაპროტესტების მექანიზმები

თითქმის ყველა სკოლას აქვს უკუკავშირისა და გაპროტესტების ისეთი ფორმალური მექანიზმები, როგორიცაა „უკუკავშირის ყუთი“, „წერილი დირექტორს“. სკოლების ადმინისტრაცია ინტერვიუებით ადასტურებს, რომ ამ გზით შეტყობინებებს თითქმის არ იღებენ და ეს მექანიზმი ფაქტობრივად უფუნქციოა.

რესურსსკოლები, რომლებიც მომსახურებას უწევენ ღრმა და მრავლობითი შეზღუდვის მქონე მოსწავლეებს, ჩართულობის საკითხს ისედაც გამოწვევად ასახელებენ, რადგან რთულია მათ კონტიგენტზე მორგებული უკუკავშირის მექანიზმების შემუშავება, რომელიც ადმინისტრაციას მისცემდა საკმარის ინფორმაციას. შესაბამისად, ინტერვიუებში აღინიშნა, რომ მათი სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭიროა სხვა მიდგომების/მექანიზმების შემუშავება. ამ კუთხით კარგ პრაქტიკად შეიძლება მივიჩნიოთ თბილისის №198 საჯარო სკოლასა და თბილისის №200 საჯარო სკოლის მიერ მომზადებული უკუკავშირის სხვადასხვა ვიზუალიზირებული ფორმა, რომლითაც ისინი ცდილობენ მოსწავლეებისგან უკუკავშირის მიღებას სკოლაში არსებულ ვითარებასა და მათ დამოკიდებულებაზე.

მოსწავლეთა მოსაზრებების მოსმენა და მათი აზრის გათვალისწინება სასკოლო და პანსიონურ ცხოვრებაში გამოწვევაა სკოლების ადმინისტრაციებისთვის, ეს საკითხები განსაკუთრებული სიმწვავით გამოიკვეთა თბილისის №203 და ქუთაისის №45 საჯარო სკოლების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ გამოვლინდა პერსონალის მხრიდან მოსწავლეების მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულება. კერძოდ, თანამშრომლებში ითქვა - „ესენი (ჩვენი მოსწავლეები) არ არიან მეტყველები და, აბა, როგორ გავიგოთ, თუ რაიმე ისეთი ხდება“.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სკოლების სპეციფიკის[139] გათვალისწინებით, შესაძლებელია მოსწავლეთა ჩართულობის შედარებით მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა და საჯარო სკოლებისთვის დამახასიათებელი ისეთი მექანიზმების გამოყენება, როგორიცაა მოსწავლეთა თვითმმართველობა, საკონსულტაციო შეხვედრები და სხვ.

---

[138] მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლის უსაფრთხოებაზე იყო აქცენტი გაკეთებული, პრობლემური ქცევა ვლინდებოდა გარკვეული ინტერვალით. მოკვლევის შედეგად ასევე დადგინდა, რომ სპეციალისტებს შედგენილი აქვთ კონკრეტული მოსწავლის რთული ქცევის მართვის გეგმა, მაგრამ ეს გეგმა მოითხოვს დახვეწას და ჩარევის სტრატეგიებში ცვლილებას.

[139] თბილისის №203 და ქუთაისის №45 საჯარო სკოლებში სწავლობენ სმენის შეზღუდვის მქონე მოსწავლეები.

უკუკავშირისა და გაპროტესტების მექანიზმების საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, მშობლებთან მიმართებით, რამდენიმე სკოლამ წარმოადგინა მათთან კომუნიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია და სტრატეგია.[140] მიუხედავად ამისა, რესურსსკოლების ადმინისტრაციების მხრიდან მშობელთა ინფორმირება და მათი ჩართულობა ერთ-ერთ გამოწვევად დასახელდა.[141] სკოლათა უმრავლესობაში მშობლებთან კომუნიკაციის ძირითადი მექანიზმია მშობელთა კრებები ან/და მათთან ინდივიდუალური შეხვედრები. თუმცა, ასეთი შეხვედრები უმეტესად ხშირი არ არის და ზოგჯერ წელიწადში ერთხელ, სასწავლო წლის დასასრულს იმართება.[142]

რეკომენდაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- უზრუნველყოს რესურსსკოლების ადმინისტრაციის და პერსონალის გადამზადება ბავშვთა მიმართ ძალადობის ამოცნობისა და რეფერირების პროცედურების შესახებ;
- უზრუნველყოს ინკლუზიური განათლების სპეციალისტების გადამზადება, მათი პროფესიული საჭიროებებიდან გამომდინარე. ამასთანავე, სავალდებულო გახდეს რთული ქცევის მართვისა და ქცევის პოზიტიური მხარდაჭერის მეთოდების სწავლება/გადამზადება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესაბამისად, ძალადობის შემთხვევებზე მიმართვიანობის დროს, ბავშვთა დასაცავად, უზრუნველყოს დროული და შესაბამისი ინტერვენციის განხორციელება, ჩართულ მხარეებთან კოორდინაციით, ბავშვთა დაცვის მიზნებისთვის;
- ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევების შეტყობინებაზე სათანადოდ რეაგირების მიზნით, უზრუნველყოს ამ მიმართულებით უწყების შესაბამისი თანამშრომლების (ინსპექტორების/გამომძიებლების) ტრენინგი და მომზადება, რათა თავიდან იქნას არიდებული ბავშვის რეტრავმატიზაცია.

---

[140] სსიპ თბილისის №198 საჯარო სკოლასა და სსიპ თბილისის №200 საჯარო სკოლებმა წარმოადგინეს მშობელთა ყოველწლიური გამოკითხვის ინსტრუმენტი - „მშობელთა უკუკავშირის კითხვარი“. სსიპ თბილისის №198 საჯარო სკოლამ წარმოადგინა გამოკითხვის ანალიზის ამსახველი დოკუმენტი, რომელსაც ისინი იყენებენ მშობელთა უკუკავშირის გასაგებად და სკოლის მომავალი წლის საქმიანობის პრიორიტეტის განსასაზღვრად. ხოლო სსიპ ქუთაისის №45 საჯარო სკოლამ მოგვაწოდა მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგია, რომელიც აქვთ დამტკიცებული და რომლის საფუძველზეც ურთიერთობენ მშობლებთან.

[141] პრობლემად დასახელდა მშობელთა ნაკლები ინტერესი და ჩართულობაც.

[142] აღნიშნული სსიპ - ახალციხის №7 და სსიპ ჭიათურის №12 საჯარო სკოლისთვის დასახელდა გამოწვევად მათი მდებარეობის, ტრანსპორტირების საჭიროებისა და მსგავსი ფაქტორების გათვალისწინებით.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესაბამისად, ძალადობის შემთხვევებზე მიმართვიანობის დროს მჭიდროდ ითანამშრომლოს მომართვის წყაროსთან და უზრუნველყოს დროული და შესაბამისი ინტერვენციის განხორციელება ბავშვთა დაცვის მიზნებისათვის.

რესურსსკოლების ადმინისტრაციას:

- უზრუნველყონ რესურსსკოლის პერსონალისთვის, კერძოდ, ბავშვებთან შემხებლობაში მყოფი ნებისმიერი პირის, მათ შორის, ტექნიკური პერსონალის სწავლება/გადამზადება ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებზე; ამასთანავე, მიაწოდონ მათ ინფორმაცია ბავშვთა დაცვის შიდა პროცედურების შესახებ, ასევე, ძალადობისა და უსაფრთხოების შემთხვევაზე პასუხისმგებელი პირის როლზე;
- უზრუნველყონ ბავშვთა მიმართ ძალადობაზე ეჭვის, საფუძვლიანი ეჭვისა და ბავშვის დაზიანების კუთხით ჩანაწერების (სამედიცინო ჟურნალი/შიდა მოკვლევის ოქმი/ რეფერალის რეესტრი და სხვ.) სათანადოდ დამუშავება და წერილობითი სახით დოკუმენტირება;
- უზრუნველყონ უკუკავშირისა და გაპროტესტების ქმედითი და ბავშვზე მორგებული მექანიზმების შემუშავება, რაც შესაძლებლობას მისცემთ, სასკოლო ცხოვრებაში გაითვალისწინონ მოსწავლეთა და მათი ოჯახების მოსაზრებები;
- უზრუნველყონ სკოლის მასწავლებლებისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების გადამზადება სსსმ მოსწავლეთა რთული ქცევის მართვის საკითხებში;
- ხელი შეუწყონ თანამშრომელთა შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებას სსსმ მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ ინფორმაციის სრულად გაზიარების მიზნით;
- თითოეული სსსმ/შშმ მოსწავლის ქცევითი სირთულის შემთხვევაში, ფსიქოლოგებმა შეიმუშაონ რთული ქცევის მართვის გეგმა, რომელსაც გაეცნობა და სამუშაო პრაქტიკაში გამოიყენებს სსსმ მოსწავლესთან მომუშავე თითოეული სპეციალისტი;
- ხელი შეუწყონ ქცევის პოზიტიური მხარდაჭერის პროაქტიული მიდგომების და შესაბამისი პროგრამების დანერგვას;
- სსსმ/შშმ მოსწავლეების ქცევითი სირთულის, ფუნქციური უნარების და სწავლაში დახმარების საჭიროებიდან გამომდინარე, უზრუნველყონ ინდივიდუალური ასისტენტების საკმარისი რაოდენობით დასაქმება;
- უზრუნველყონ სსსმ და შშმ მოსწავლეების და მშობლების ინფორმირება ძალადობის საკითხებთან, ძალადობისგან დაცვის მექანიზმებთან, ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით, მათთვის მისაწვდომი ფორმით.

7. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საზოგადოებასთან ინტეგრაციისა და სოციალიზაციის ხელშეწყობა

ხარისხიანი განათლების სხვებთან თანაბარ პირობებში მიწოდების პარალელურად, რესურსსკოლა ვალდებულია, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას,[143] სსსმ/შშმ მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესსა და საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას.[144]

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, კლასგარეშე და არაფორმალური აქტივობების დაგეგმვისა და საზოგადოებაში სსსმ მოსწავლეების ინტეგრაციის ხელშეწყობის[145] მიზნით ყველა სკოლაში პერიოდულად ტარდება სხვადასხვა ღონისძიება. ამ ღონისძიებების ფარგლებში ძირითადად სხვა სკოლის მოსწავლეებს იწვევენ ან ხორციელდება გასვლითი ვიზიტები, თუმცა განხორციელებული აქტივობები სოციალური ინკლუზიის უზრუნველყოფის მიზნის მისაღწევად არასაკმარისია.

საკითხის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ჩატარებული გასვლითი ღონისძიებები (სპორტული აქტივობები, თოჯინების თეატრი, სპექტაკლები და სხვ.),[146] ძირითადად საქველმოქმედო, ერთჯერადი ხასიათისაა, შედარებით იშვიათი და უმეტესად უკავშირდება კონკრეტული დღესასწაულის აღნიშვნას. რიგ შემთხვევებში, სოციალიზაციის აქტივობები არ მოიცავს ყველა მოსწავლეს და მასში ჩართულია მხოლოდ სკოლის მოსწავლეთა ნაწილი.[147] განსაკუთრებით პრობლემურად დასახელდა გასვლითი აქტივობების ნაკლებობა (ექსკურსიები) მოსწავლეებისთვის, თუმცა გვხვდება სოციალიზაციის კარგი მაგალითებიც,

---

[143] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანება „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3MUCoeo > ბოლოს ნანახია [16.10.2023].

[144] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის №1014 ბრძანება „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“. მუხლი 10. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/496FpBK > ბოლოს ნანახია [16.10.2023].

[145] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №2008 წლის 21 ნოემბრის №1014 ბრძანება „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“. მუხლი 5 (გ), მუხლი 6 (თ), მუხლი 16 (ვ), (ზ), (ი) ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/496FpBK > ბოლოს ნანახია [16.10.2023].

[146] ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციით, სსიპ ჭიათურის №12 საჯარო სკოლის მოსწავლეები დადიან ექსკურსიებზე, თეატრში და სხვ., სსიპ თბილისის №202 საჯარო სკოლის მოსწავლეები ნამყოფები არიან თეატრში, კინოში, მუზეუმში და სხვ.

[147] ინტერვიუები სკოლის პერსონალთან და მოსწავლეებთან.

სხვა სკოლებთან/მოსწავლეებთან თანამშრომლობისა და ერთობლივი აქტივობების დაგეგმვის კუთხით.[148]

მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქუთაისის №45 და თბილისის №203 საჯარო სკოლების მოსწავლეების სოციალიზაციის საკითხი, სადაც განათლებას იღებენ ყრუ და სმენადაქვეითებული მოსწავლეები. საზოგადოების მხრიდან მათთან კომუნიკაციის სირთულის გათვალისწინებით, ყრუ და სმენადაქვეითებულ მოსწავლეებს ჟესტურ ენაზე ძირითადად სკოლის ფარგლებში, თანატოლებთან შეუძლიათ კომუნიკაცია. სხვა გარემოში, იქნება ეს ოჯახი თუ ზოგადად საზოგადოება, ისინი მსგავს შესაძლებლობას მეტწილად მოკლებულები არიან. უფრო მეტიც, სასკოლო სივრცეში ჟესტური ენის თარჯიმანი ყოველთვის ხელმისაწვდომი არ არის და კომუნიკაციის ბარიერი მნიშვნელოვან შემაფერხებელ გარემოებად იკვეთება სპეციალისტებთან (სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი) ურთიერთობაშიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულ და სხვა სპეციალისტებთან ჟესტური ენის თარჯიმნის დახმარებით კომუნიკაციის დროს, მოსწავლე მოკლებულია შესაძლებლობას პრივატულად, კონფიდენციალობის დაცვით, გააზიაროს თავისი საჭიროებები და მიიღოს უკუკავშირი.

ზემოხსენებულ სკოლებში სოციალიზაციის კუთხით განხორციელებული აქტივობების დაბალი მაჩვენებელიც გამოვლინდა. მოსწავლეები მოკლებულნი არიან გასვლით ღონისძიებებს, ექსკურსიებს. ასევე მწირია სპორტული აქტივობებიც. უფროსი ასაკის მოსწავლეებისთვის სპორტის გაკვეთილზე შეთავაზებული აქტივობები არ შეესაბამება მათ ასაკობრივ ინტერესებს. მოსწავლეებს სურთ ითამაშონ ფრენბურთი, კალათბურთი, მაგრამ სკოლის შიდა და გარე სივრცეები ამგვარი აქტივობებისთვის მისაწვდომი არ არის. აღსანიშნავია, რომ რესურსსკოლების უმეტესობას არ აქვს კეთილმოწყობილი სპორტული ინფრასტრუქტურა, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებოდათ ჩართულიყვნენ სპორტულ თამაშებში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვანია მათი ტრანზიციის ხელშეწყობა.[149] ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის შედგენა ხელს უწყობს სკოლის მობილიზებას საჭირო რესურსებისა და აქტივობების დასაგეგმად, და უფრო ორგანიზებულსა და კოორდინირებულს ხდის ამ პროცესს.

---

[148] ამ კუთხით, გამონაკლისია სსიპ თბილისის №198 საჯარო სკოლისა და მათი მიმღები სკოლის (სსიპთბილისის №210 საჯარო სკოლა) ურთიერთობა, რომლებსაც აქვთ ერთობლივი გაკვეთილებისა და აქტივობების დადებითი მაგალითები. ჰყავთ დამეგობრებული სკოლები: სსიპ ჭიათურის №12 საჯარო სკოლა, სსიპ თბილისის №198 საჯარო სკოლა, სსიპ ახალციხის №7 საჯარო სკოლა, სსიპ თბილისის №200 საჯარო სკოლა.

[149] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის №1014 ბრძანება „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“. მუხლი 14 (ვ). ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/496FpBK >ბოლოს ნანახია [16.10.2023].

აღსანიშნავია, რომ რესურსსკოლების ადმინისტრაციის ინფორმაციით, ბოლო წლებში, რესურსსკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის კლებისა და დაბალი შემოდინების ტენდენცია შეინიშნება. ერთ-ერთი რესურსსკოლის ადმინისტრაციამ[150] მიუთითა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთან ერთად თავიანთ ძალისხმევაზე, ეზრუნათ ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებსა და საჯარო სკოლებში ინტეგრაციაზე, რაც დადებით ნაბიჯად უნდა შეფასდეს. ამასთანავე, ზოგადი სურათი გვიჩვენებს, რომ რესურსსკოლებიდან საჯარო სკოლებში ტრანზიციისკენ მიმართული აქტივობები არასაკმარისია.

შემოწმების ფარგლებში ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო დაწესებულებების უმეტესობა თანამშრომლობს პროფესიულ სასწავლებლებთან და ტარდება სხვადასხვა აქტივობა პროფესიის ასარჩევად და დასაუფლებლად, თუმცა ამის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი - ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა არცერთ სკოლას არ წარმოუდგენია, რაც ეჭვქვეშ აყენებს მონიტორინგის დროს მიღებული ინფორმაციის ნამდვილობას.

საკითხის შესწავლის დროს მიღებული ინფორმაციით, სკოლების უმრავლესობა[151] თანამშრომლობს პროფესიულ სასწავლებლებთან, თავიანთი მოსწავლეებისთვის სახელობო ჯგუფების შეთავაზების მიზნით. თუმცა, მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ასრულებენ სკოლას, ნაკლებად არიან ჩართულები პროფესიული განათლების პროგრამებში. სკოლის დასრულების შემდეგ ძირითადად სახლში რჩებიან და მოკლებულნი არიან დასაქმების შესაძლებლობას.[152]

სკოლის დასრულების შემდეგ ახალგაზრდების პიროვნული რეალიზებისა და დასაქმების ხელშეწყობა ერთ-ერთი საკვანძო საკითხია, რომელსაც რესურსსკოლების პერსონალი უმნიშვნელოვანეს გამოწვევად მიიჩნევს. ეს, ერთი მხრივ, მიუთითებს რესურსსკოლების შესაძლებლობებისა და ძალისხმევის ნაკლებობაზე მოამზადონ მოსწავლეები დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოებაში არსებულ სხვა ბარიერებსა და უთანასწორობაზე, რაც ამცირებს ქვეყანაში შშმ და სსსმ ახალგაზრდების დასაქმებისა და თვითრეალიზების შესაძლებლობას.

რეკომენდაციები

რესურსსკოლების ადმინისტრაციას:

- უზრუნველყონ ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის შემუშავება და სათანადო პროცედურების განხორციელება დაწყებით, საშუალო/საბაზო საფეხურზე, მოსწავლეთა საჭიროების შესაბამისად;

[150] სსიპ თბილისის №200 საჯარო სკოლამ პანსიონურ მომსახურებაზე მყოფთა რაოდენობა ეტაპობრივად შეამცირა 100-დან 19-მდე ბავშვამდე.
[151] სსიპ თბილისის №200 საჯარო სკოლა, სსიპ ქუთაისის №45 საჯარო სკოლა.
[152] ინტერვიუები სკოლის პერსონალთან.

- სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის მიზნით, დაგეგმონ მრავალფეროვანი ღონისძიებები სსსმ/შშმ მოსწავლეებისა და მათი თანატოლების ჩართულობით როგორც სკოლის ფარგლებში, ისე სკოლის მიღმა;
- უზრუნველყონ მოსწავლეთა სოციალიზაციასა და რეალიზაციაზე მიმართული აქტივობების გამრავალფეროვნება და თანმიმდევრულობა;
- გააძლიერონ ძალისხმევა მოსწავლეთა თვითრეალიზაციისა და დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშესაწყობად, მათთვის პროფესიული ორიენტაციის, სახელობო სწავლებისა და გადამზადების მხარდაჭერის გზით;
- სასკოლო ღონისძიებების საშუალებით, ინკლუზიური განათლების სპეციალისტების და მშობლების ჩართულობით, ხელი შეუწყონ ჟესტური ენისა და მისი გამოყენების პოპულარიზაციას.

7.1. მშობლებთან თანამშრომლობა

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის[153] შესაბამისად, სკოლა ვალდებულია, ითანამშრომლოს მოსწავლის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან.

რესურსსკოლების შემთხვევაში, პანსიონური მომსახურების კომპონენტიდან გამომდინარე, ასევე მნიშვნელოვანია მშობლების უშუალო კომუნიკაცია შვილებთან, რომლებსაც ოჯახისგან მოშორებით უწევთ ცხოვრება. მშობელთა მონაწილეობა და ჩართულობა კრიტიკულად მნიშვნელოვანი ასპექტია როგორც ბავშვის განვითარებისა და ემოციური კავშირების შესანარჩუნებლად/გასამყარებლად, ისე სკოლა-ოჯახი-ბავშვის თანამშრომლობის ხელშესაწყობად.

მონიტორინგმა მშობლებთან თანამშრომლობის კუთხით გარკვეული სირთულეები გამოკვეთა თითქმის ყველა სკოლაში. მათი ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში ძალიან დაბალია. ზოგიერთ სკოლას[154] შემუშავებული აქვს მშობლებთან თანამშრომლობის გარკვეული ფორმატი - შეფასების კითხვარი ან/და უკუკავშირის ფორმები; პერიოდულად ხვდებიან მშობლებს მიმდინარე თემებთან დაკავშირებით, აწვდიან ინფორმაციას და იზიარებენ მათ ხედვას, დამოკიდებულებებსა და რეკომენდაციებს. მიუხედავად ამისა, ამ პროცესს ძირითადად ფრაგმენტული ხასიათი აქვს. რესურსსკოლების უმეტესობა მშობლებთან კომუნიკაციას, გამოვლენილი საჭიროების შემთხვევაში ამყარებს. განსაკუთრებით ნაკლებია იმ მშობლებთან ურთიერთობა, რომელთა შვილებიც პანსიონური მომსახურებით სარგებლობენ.

---

[153] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის N1014 ბრძანება „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“. მუხლი 10. ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: < https://bit.ly/496FpBK > ბოლოს ნანახია [16.10.2023].

[154] სსიპ თბილისის №198 და №200 საჯარო სკოლები.

შვილების სასკოლო ცხოვრებაში მშობლების დაბალ ჩართულობას, თავის მხრივ, მათი ოჯახების მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაც განაპირობებს.[155] მათი ნაწილი რესურსსკოლისგან მოშორებით ცხოვრობს და სკოლამდე გადაადგილება/ტრანსპორტირება მნიშვნელოვან გამოწვევასთან არის დაკავშირებული.

შემოწმებამ აჩვენა, რომ მოსწავლეთა მშობლები და სკოლის პერსონალი ერთმანეთს ძირითადად სასკოლო ღონისძიებების ფარგლებში ხვდებიან. ამასთანავე, ზოგიერთი სკოლის[156] მხრიდან არ ხდება კომუნიკაციის ინიცირება და მშობლებს მხოლოდ სემესტრის ან წლის ბოლოს უზიარებენ ინფორმაციას. როგორც სასწავლო დაწესებულებების პერსონალმა აღნიშნა, თვითონ მშობლები არ იჩენენ თანამშრომლობის ინიციატივას. მონიტორინგის შედეგად არც სკოლების მხრიდან გამოვლენილა მათთან თანამშრომლობის შეთავაზების მცდელობა. გამოიკვეთა მხოლოდ სპეციალისტებთან მიმართვის ცალკეული შემთხვევები, ისიც სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე, კლასის დამრიგებლებისა და მშობლების შედარებით აქტიური კომუნიკაციის შემთხვევები, ძირითადად სოციალური ქსელებისა და სატელეფონო კომუნიკაციის ფორმატში.

მშობლებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის კარგი პრაქტიკა გამოვლინდა თბილისის №200 და №198 საჯარო სკოლებში.[157] №200 სკოლის სპეციალური მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან. არდადეგებზე უგზავნიან დავალებებს შვილებთან სამუშაოდ, ბავშვების უნარ-ჩვევების შესანარჩუნებლად. №198 სკოლაში მშობლებთან კომუნიკაციისთვის მიმართავენ სხვადასხვა სახის ღონისძიებას. მათ შორის, დონორული მხარდაჭერის ფარგლებში, პარტნიორი ორგანიზაციის მონაწილეობით ატარებენ საერთო ღონისძიებებს, რომლებიც მშობელთა გაძლიერებას ემსახურება; ჩატარებული აქვთ ცნობიერების ასამაღლებელი შეხვედრები. სკოლა ასევე იყენებს მშობლებისთვის შემუშავებულ ანონიმურ კითხვარებს,[158] მათი მოსაზრებების გამოსავლენად და გასაზიარებლად.

თანამშრომლობის მსგავს ფორმატებს დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლიათ მოსწავლეთა მშობლებისა და რესურსსკოლების ურთიერთობაზე და მნიშვნელოვანია ორივე მხარისთვის, რაც, თავის მხრივ, ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია მშობლებისა და მათი შვილების კავშირების შენარჩუნება/გაძლიერებისთვის.

---

[155] ინტერვიუ სკოლის პერსონალთან.

[156] სსიპ ახალციხის №7 საჯარო სკოლა, სსიპ ქუთაისის №45 საჯარო სკოლა.

[157] სსიპ თბილისის №200 საჯარო სკოლის ფსიქოლოგს მშობლებთან აქტიური კომუნიკაცია აქვს, რაც დასტურდება მისი მხრიდან წარმოდგენილი მაგალითებითა და ვიზიტებით; სსიპ თბილისის №198 საჯარო სკოლის ფსიქოლოგმა მიუთითა მშობლების მხრიდან მომართვიანობის შესახებ. კლასის დამრიგებელი ინტერვიუს დროს აღნიშნავს, რომ მშობლებთან ხშირი ურთიერთობა აქვს, ატარებს სადამრიგებლო საათს, მშობელთა კრებას (სემესტრში ორჯერ). ინდივიდუალურად უფრო ხშირად ხვდება იმ მშობლებს, რომლებსაც თავად მოჰყავთ სკოლაში მოსწავლე. გარდა ამისა, აქვს მშობლებთან ინტერნეტ-ჩატი ყოველდღიური კავშირისთვის.

[158] მოწოდებულია შემუშავებული კითხვარები და სამუშაო მასალები.

რეკომენდაციები

რესურსსკოლების ადმინისტრაციას:

- შეიმუშაონ მშობლებთან ეფექტიანი კომუნიკაციის მექანიზმი და უზრუნველყონ პერიოდული შეხვედრა მშობლებთან ინკლუზიური განათლებისა და პანსიონური მომსახურების საკითხებთან დაკავშირებით;
- გააძლიერონ მშობლებთან და ოჯახების სხვა წევრებთან მუშაობა, ბავშვის ყოველდღიურ ცხოვრებასა და მხარდაჭერაში მშობლების მეტად ჩასართავად. ამასთანავე, დაეხმარონ მათ შვილებთან ურთიერთობისას წარმოქმილი ბარიერების შემცირებაში (მაგ., ჟესტური ენის სწავლება მშობლებისთვის);
- უზრუნველყონ სსსმ/შშმ მოსწავლის მშობლებთან ცნობიერების ასამაღლებელი შეხვედრების, მათი მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება-განხორციელება.

8. ფიზიკური გარემო და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა

საგანმანათლებლო დაწესებულებების გამართული ინფრასტრუქტურა ხარისხიანი და უწყვეტი განათლების მიღების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. მნიშვნელოვანია ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის უზუნველყოფა, უნივერსალური დიზაინის პრინციპების შესაბამისად, ასევე, დაწესებულებაში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის[159] მე-9 მუხლის მიხედვით, შენობა–ნაგებობებზე წვდომა და კომპლექსური მისაწვდომობის უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებაა.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის[160] 21-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო, მმართველობის სფეროში მოქმედი ყველა დაწესებულების სრული მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, ვალდებულია უზრუნველყოს არსებული და მშენებარე შენობა-ნაგებობებისა და სხვა სახის ინფრასტრუქტურის უნივერსალური დიზაინის შესაბამისად მოწყობა.

[159] გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://tinyurl.com/2p9vr3vv> [ბოლოს ნანახია: 08.01.2024].

[160] 2020 წლის 14 ივლისის საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://tinyurl.com/2pvd62vv [ბოლოს ნანახია: 08.01.2024].

საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წლის 4 დეკემბერს დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“[161] დადგენილი წესების შესაბამისად, შშმ პირებისთვის იმგვარად უნდა მოეწყოს ადგილები, შენობები და ელემენტები, რომ მათ მიეცეთ შესაძლებლობა დამოუკიდებლად მიუახლოვდნენ, შევიდნენ და გამოიყენონ აღნიშნული საშუალებები.

საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო და ეროვნული რეგულაციებით დადგენილი ვალდებულებების მიუხედავად, რესურსსკოლების მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლათა ნაწილი ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას მისაწვდომ, სათანადოდ მოწყობილ, სუფთა და უსაფრთხო გარემოში.[162] უფრო მეტიც, რამდენიმე დაწესებულების ინფრასტრუქტურა საფრთხის შემცველიც კი იყო მოსწავლეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის.[163] განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა თბილისის №203 და ქუთაისის №45 საჯარო სკოლებში, გარე სივრცეში (ეზოს პერიმეტრზე), მრავლად იყო ბავშვებისთვის საფრთხის შემცველი ნივთები და შენობა-ნაგებობები.[164] დადებითად უნდა

[161] საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ დამტკიცების თაობაზე. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://tinyurl.com/bdcwknt7 ბოლოს ნანახია [22.09.2023].

[162] ამ მიმართულებით დადებითად უნდა შეფასდეს თბილისის №200 და ახალციხის №7 საჯარო სკოლები. კერძოდ, თბილისის №200 საჯარო სკოლაში მოწყობილი იყო ლიფტი, პანდუსები (არ იყო მხოლოდ სპორტულ დარბაზში), განსაკუთრებით აღსანიშნავია მთლიან შენობაში, მათ შორის, სასწავლო კლასებში, საძინებლებში, სასადილოებსა და სველ წერტილებში არსებული სისუფთავე. ასევე დადებითად უნდა შეფასდეს ეზოს კეთილმოწყობა და გამწვანება. ხოლო პანსიონური ნაწილის მიმართულებით, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სხვადასხვა სახის თერაპიისთვის გამოყოფილი ოთახების მრავალფეროვნება, აგრეთვე, სათამაშო და მოსასვენებელი სივრცეები. რაც შეეხება ახალციხის №7 საჯარო სკოლა-პანსიონს, მისი შენობა ერთსართულიანია, შესაბამისად, არ არის ლიფტის საჭიროება და მისაწვდომობა ძირითადად მარტივი ადაპტაციით, კერძოდ, პანდუსით შემოიფარგლება. ამავე სკოლაშიც სასწავლო პროცესის წარმართვისთვის არის საკმარისი ოთახები, ასევე საკმარისი სივრცითა და შესაბამისი ჰიგიენის ნორმების დაცვით. დადებითად აღსანიშნავია პანსიონურ ნაწილში არსებული ჰიგიენური ნორმების დაცულობის და შესაბამისი/ახალი ავეჯითა და ყველა საჭირო ინვენტარით აღჭურვის საკითხიც. ამასთანავე, მოწესრიგებული და სუფთაა სამზარეულო და სასაწყობე სივრცეებიც.

[163] მძიმე ვითარება გამოიკვეთა თბილისის №203 და ქუთაისის №45 საჯარო სკოლებში. მათ შორის, ლ. სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისი დასკვნის თანახმად, ავარიულ მდგომარეობაში იყო და დემონტაჟს ექვემდებარებოდა №203 სკოლა-პანსიონი.

[164] თბილისის №203 და ქუთაისის №45 საჯარო სკოლების ეზოში მრავლად იყო მოძველებული და საფრთხის შემცველი ნივთები. მათ შორის, №203 სკოლის ეზოში მიმოფანტული იყო რკინის ნივთები. აქვე განთავსებული იყო ძველი ავტომანქანაც. აღსანიშნავია, რომ ამ გზის გავლა როგორც სასწავლო სივრცემდე, ისე სასადილომდე მისასვლელად, ყოველდღიურად უწევთ მოსწავლეებს. მიუწვდომელი გარემოს გამო, ეტლით მოსარგებლე მოსწავლე მოკლებული იყო სასადილომდე მისვლისა და სხვა თანატოლებთან ერთად კვების შესაძლებლობას. ის იკვებებოდა სხვა მოსწავლეებისგან განცალკევებით, თავად სასწავლო სკოლის გარემოში. ამავე სკოლის პანსიონის სივრცე, ოთახები იყო სარემონტო, არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენური პირობებითა და მოუწესრიგებელი საპირფარეშოებით. გარდა ამისა, №45 საჯარო სკოლის ეზოში იყო დევნილების ყოფილი საცხოვრებლის შენობა, რომელიც შეღწევადი იყო მოსწავლეებისთვის. ეზოში ასევე დგას

შეფასდეს ის გარემოება, რომ მონიტორინგის ვიზიტების შემდეგ, სახალხო დამცველის აპარატს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან ეცნობა[165] კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი თბილისის №203 საჯარო სკოლის დემონტაჟის დაწყებისა და ახალი შენობის აშენებამდე მოსწავლეთა სხვა სკოლაში[166] გადანაწილების თაობაზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ მნიშვნელოვანია ყოფილ შენობაში არსებული პირობებისგან განსხვავებით, დროებით სასწავლო სივრცეში მოსწავლეებს მიეცეთ უსაფრთხო, მისაწვდომ და ჰიგიენურ პირობებში ყოფნის შესაძლებლობა. ასევე მხედველობაში იქნას მიღებული მოსწავლეთა რაოდენობა და მათი გადანაწილების ხარისხი.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა მობილობის შეზღუდვის მქონე მოსწავლეების საჭიროებების უგულებელყოფა, რადგან სართულებს შორის გადაადგილებისთვის შენობებში დამონტაჟებული არ იყო ლიფტი[167] და მისაწვდომობა ძირითადად მარტივი ადაპტაციით, პანდუსის მოწყობით შემოიფარგლებოდა.

მისაწვდომობისა და სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს ვერ აკმაყოფილებდა ცალკეული სკოლების[168] სველ წერტილებში არსებული მდგომარეობა. ზოგიერთ სკოლაში, არცერთი საპირფარეშო არ იყო ადაპტირებული შშმ მოსწავლეებისთვის. პრობლემურ საკითხად გამოიკვეთა სკოლების სველი წერტილების ცხელი წყლითა და ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა.[169]

სკოლა-პანსიონების ტერიტორიაზე და მომიჯნავედ პრობლემური იყო მოსწავლეებისთვის მისაწვდომი და უსაფრთხო სარეკრეაციო ზონის არარსებობა.[170]

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ სკოლაში პრობლემური იყო ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა, შენობაში მეტ-ნაკლებად დაცული იყო სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები. მათ

ხანძრის შედეგად დაზიანებული, მძიმე სანიტარიულ მდგომარეობაში მყოფი შენობა. ამავე სკოლის პანსიონურ ნაწილში იყო მძიმე სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა და იგრძნობოდა მკვეთრად უსიამოვნო სუნი.

[165] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი MES 1 23 0001155397 – 14.09.2023.

[166] თბილისის №200 საჯარო სკოლა.

[167] ლიფტი მოწყობილი და გამართულ მდგომარეობაში იყო მხოლოდ სსიპ თბილისის №200 საჯარო სკოლაში. ხოლო №198 სკოლის დროებით სასწავლო სივრცეში, მართალია, იყო ლიფტი, მაგრამ არ მუშაობდა, ამასთანავე, ის არ არის ხელმისაწვდომი ეტლით მოსარგებლე პირებისთვის. აღსანიშნავია, რომ სსიპ ახალციხის №7 საჯარო სკოლა-პანსიონი იყო ერთსართულიანი და, შესაბამისად, ლიფტს არ საჭიროებდა. ხოლო ჭიათურის №12 საჯარო სკოლაში, ლიფტის არარსებობის გამო, მობილობის შეზღუდვის მქონე მოსწავლეს, გასულ წლებში, გაკვეთილი უტარდებოდა პირველ სართულზე.

[168] პრობლემები განსაკუთრებით შეინიშნებოდა თბილისის №203 და ქუთაისის №45 საჯარო სკოლებში.

[169] ქუთაისის №45 საჯარო სკოლის პერსონალისგან მიღებული ინფორმაციისგან განსხვავებით, მოსწავლეების ცნობით, მათ თავად უწევდათ ჰიგიენური საშუალებების შეძენა.

[170] ამ კუთხით დადებითად უნდა აღინიშნოს სსიპ თბილისის №200 საჯარო სკოლა. სსიპ ახალციხის №7 საჯარო სკოლაში იყო კეთილმოწყობილი რეკრეაციის ოთახი, რომელსაც მოსწავლეები 3 საათის შემდეგ იყენებდნენ განტვირთვის მიზნით.

შორის, ჭიათურის №12 საჯარო სკოლაში[171] მოწესრიგებული იყო ეზო, სადაც არ შეინიშნებოდა ბავშვებისთვის საფრთხის შემცველი ბარიერები. ასევე დაცული იყო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები. სასწავლო დაწესებულებაში ბავშვებისთვის მოწყობილი იყო სათამაშო მოედანი. ამასთანავე, პანსიონის სათამაშო სივრცეებში შეინიშნება მოძველებული ავეჯი და რესურსების (სათამაშოები, შემეცნებითი ნივთები) ნაკლებობა. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის, პანსიონის ნაწილი საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას, რამაც უნდა უზრუნველყოს რესურსსკოლის მისაწვდომობა.

ორი საჯარო სკოლის (№198 და №202 საჯარო სკოლები) სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა სხვა სკოლებში, სადაც მკაფიოდ გამოიკვეთა ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის პრობლემები. კერძოდ, №198 სკოლის დროებითი სასწავლო სივრცე (№210 საჯარო სკოლა[172]) მიუწვდომელი იყო შშმ პირებისთვის. შენობაში დამონტაჟებული იყო ლიფტი, თუმცა არ მუშაობდა. შენობაში შეუძლებელია ეტლით მოსარგებლე პირების შესვლა. ადაპტირებული იყო მხოლოდ ერთი სველი წერტილი. №198 საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ძველი სკოლიდან გადმოსვლის გამო, რადგან, მათი თქმით, ძველი სკოლის შენობა გაცილებით მისაწვდომი და მორგებული იყო ბავშვების საჭიროებაზე.[173] 210-ე საჯარო სკოლასთან მიმართებით ასევე გამოიკვეთა ტრანსპორტის მისაწვდომობის პრობლემაც.[174]

რაც შეეხება თბილისის №202 საჯარო სკოლას, მონიტორინგის დროს მისი სასწავლო სივრცე განთავსებული იყო თბილისის №126 საჯარო სკოლის ერთ ფლიგელში, სადაც ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის პრობლემებთან ერთად გამოიკვეთა ბავშვების №126 საჯარო სკოლის მოსწავლეებისგან გარიყვისა და სეგრეგაციის შემთხვევებიც. კერძოდ, №202 სკოლის მოსწავლეები იზოლირებული იყვნენ №126 სკოლის მოსწავლეებისგან. მათ არ ეძლეოდათ როგორც შენობის საერთო შესასვლელის, ისე სრული ფართით სარგებლობისა და თანატოლებთან კომუნიკაციის შესაძლებლობა. მათ შორის, სასწავლო სივრცეში შესასვლელად ისინი იძულებული იყვნენ ესარგებლათ არა შენობის მთავარი შესასვლელით, არამედ ამავე დაწესებულების უკანა კარით. ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი №202 საჯარო სკოლის პანსიონურ ნაწილშიც, რომელიც დროებით განთავსებული იყო თბილისის „ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის“ მცირე ფლიგელში. ამ შემთხვევაშიც გამოიკვეთა ფიზიკური გარემოს მისაწვდომობისა და №199 საჯარო სკოლის მოსწავლეებისგან იზოლირების პრობლემა.

---

[171] მისაწვდომი იყო მხოლოდ სკოლის პირველი სართული და რამდენიმე სველი წერტილი. ასევე, გარემონტებული იყო სკოლის შენობების ნაწილი. ამასთანავე, ბავშვების ტანსაცმელი, თეთრეული და ჰიგიენური საშუალებები შენახული იყო სუფთად. მოსწავლეებს ჰიგიენური საშუალებები მიეწოდებოდათ ყოველკვირეულად. თვითმოვლის შეზღუდვის მქონე 3 მოსწავლეს ეხმარებოდნენ აღმზრდელები.

[172] სკოლა მდებარეობს სოფ. დიღომში.

[173] ყოფილ სასწავლო სივრცეში იყო ცალკე სენსორული ინტეგრაციის ოთახი, ეზო და სპორტდარბაზი.

[174] მშობლები აღნიშნავდნენ, რომ სკოლამდე დიდი გზაა, რაც იწვევს ბავშვების გადაღლას და გაღიზიანებას. მათ პრობლემები ექმნებათ თერაპიებზე დასწრების მხრივაც.

რესურსსკოლების ფიზიკური გარემოს მისაწვდომობაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ამ სასწავლო დაწესებულებების უმეტეს ნაწილში მოსწავლეებისთვის არ არის უზრუნველყოფილი მისაწვდომი, კეთილმოწყობილი, სუფთა და, რიგ შემთხვევებში, უსაფრთხო გარემო. ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება სკოლების მოძველებული და გაუმართავი ინფრასტრუქტურა. რესურსსკოლების ფიზიკური მოწყობა და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა ნაკლებად არის მორგებული მოსწავლეთა და სკოლაში დასაქმებული პერსონალის საჭიროებებზე.

რეკომენდაციები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- უზრუნველყოს ზოგადი განათლების სისტემაში არსებული რესურსსკოლების ფიზიკური გარემოსა და ინფრასტრუქტურის მისაწვდომობა, საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების სრული დაცვით. ასევე, მოსწავლეებისა და სკოლების პერსონალისთვის კეთილმოწყობილი, სუფთა და უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების, მათ შორის, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ განუხრელი დაცვით უზრუნველყოს სსიპ თბილისის №203 და №198 საჯარო სკოლების ახალი ნაგებობის მშენებლობა.

სსიპ ქუთაისის №45 საჯარო სკოლის ადმინისტრაციას:

- უზრუნველყოს სკოლის როგორც შიდა, ისე გარე ტერიტორიაზე მისაწვდომი, კეთილმოწყობილი, სუფთა და უსაფრთხო გარემოს შექმნა.

8.1. №202 საჯარო სკოლის რეაბილიტაციის პროცესის შეფასება

რესურსსკოლების მონიტორინგის ფარგლებში, სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სსიპ თბილისის №202 საჯარო სკოლის მისაწვდომობის საკითხზე. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ შემოწმების დროს სკოლაში მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. ჩვენი ინტერესის სფერო იყო სკოლის რესტავრაცია-რეაბილიტაციის შესაბამისობა ტექნიკური რეგლამენტის - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტებისა“ და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან.

პროცესზე დასაკვირვებლად ადგილზე ჩატარებული მონიტორინგის გარდა,[175] საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია გამოვითხოვეთ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან[176] (შემდგომში სააგენტო) და №202 საჯარო სკოლიდან.[177]

სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის[178] თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ სსიპ თბილისის №202 საჯარო სკოლა წარმოადგენს სპეციალიზებულ, უსინათლო და მხედველობადაქვეითებულ მოსწავლეთათვის განკუთვნილ სკოლაპანსიონს, რომელსაც ამავე დროს მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, მისი სრული რესტავრაცია-რეაბილიტაციის საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, სააგენტოს დაკვეთით, შეადგინა სპეციალიზებულმა კომპანიამ შპს „რესტავრატორები და კომპანია“, რომელიც სააგენტოს მიერ გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე (NAT190008693) შეირჩა.[179] სააგენტოს ცნობით, პროექტირების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს სპეციალისტები და №202 საჯარო სკოლის დირექცია.

სკოლაში ჩატარებული მონიტორინგის ვიზიტების[180] შედეგად გაირკვა, რომ რესურსსკოლის სარეაბილატაციო სამუშაოების შესრულებაზე პასუხისმგებელმა კომპანიამ[181] რეაბილიტაცია

---

[175] 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლაში ჩატარდა 2 ვიზიტი: 2023 წლის პირველ და 31 აგვისტოს. სასწავლო წლის დაწყების შემდეგ, 2023 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 10 ნოემბრამდე დამატებით 3 ვიზიტი განხორციელდა.

[176] სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 21 აგვისტოს წერილი №09-5/8322.

[177] სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 21 აგვისტოს წერილი №09-5/8323.

[178] სააგენტოს წერილი MES 4 23 0001077766-05.09.2023.

[179] შემუშავებული პროექტის საფუძველზე, რესტავრაცია/რეაბილიტაციის სამუშაოებს 2021 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული №320701/03/179 ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებდა შპს „გრანიტი.“ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაკვეთით სამუშაოების წარმოების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი იყო შპს „სიემსი“.

[180] რეაბილიტაციის პროცესში, სკოლაში ჩატარებული 5 მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში მონიტორინგის ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა ჩატარებული სარესტავრაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები და მათი შესაბამისობა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან. გამოვითხოვეთ დოკუმენტაცია როგორც საჯარო სკოლიდან, ისე სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან, მათ შორის: ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №320701/ 03/ 179 - 16.12.2021. დეფექტური აქტი №202 საჯარო სკოლის შენობაში ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ. ამასთანავე, მონიტორინგის ჯგუფმა ვერ მოიპოვა „ტექნიკური დავალება“, ანუ დოკუმენტი, რომლითაც შემსრულებელი იღებდა ვალდებულებას, რომ საპროექტო შენობა საქართველოში არსებული უსაფრთხოების ნორმების შესაბამისი იქნებოდა და ასევე დაწვრილებით იქნებოდა გაწერილი ჩასატარებელი სამუშაოები, მათ შორის: შენობა-ნაგებობის იერსახე და დიზაინი – ესკიზები, ფოტორენდერები; 3D საპროექტო ფოტომონტაჟი მასალების, ზომების და სიმაღლის ნიშნულების ჩვენებით - არსებულ განაშენიანებაში.

[181] სარეაბილიტაციო სამუშაოებს აწარმოებდა შპს „გრანიტი.“

ძირითადად ტექნიკური რეგლამენტის „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ კრიტერიუმების დარღვევით, ნაკისრი ვალდებულებების[182] დაუცველად განახორციელა.

იატაკი. მისაწვდომი სვლაგეზები

იატაკის მოწყობისას მნიშვნელოვანია ტექნიკური რეგლამენტის მოითხოვნების[183] დაცვა, თუმცა სკოლის იატაკის ზედაპირი არის სრიალა, რაც საფრთხის შემცველია ადამიანის ჯანმრთელობისთვის. შენობის პირველ სართულზე იატაკის საფარად გამოყენებულია კერამიკული ფილები, ხოლო სხვა სართულებზე - პარკეტი, რომლის დამუშავების შემთხვევაში, მოიმატებს იატაკზე მოცურების რისკი.

რაც შეეხება დერეფნებს, მათი სავალი ზედაპირის დახრა, დონის ცვლილება, სიგანე შეესაბამება ტექნიკურ რეგლამენტს.[184] თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ დერეფნები საკმაოდ ფართოა, დაცული არ არის მსგავსი დანიშნულების შენობებისთვის საჭირო, თავისუფლად მოსაბრუნებელი სივრცის სტანდარტი (რადგან სივრცე ვიწროვდება კარის გამოღების შედეგად:[185] სტანდარტი-900მმ არსებულ შენობებში).

დეფექტური აქტის მიხედვით ნაკისრი ვალდებულების მიუხედავად, სკოლის დერეფნებში მომრგვალებული არ არის კუთხეები და დერეფნის გასწვრივ, კედლებზე ხის სახელურების ნაცვლად დამაგრებულია ლითონის სახელურები. ამასთანავე, იატაკის კუთხეები დაფარულია ხის პლინტუსებით, რომლებიც მარტივად ძვრება.

კარები

შენობაში ძირითადად არის გვერდითი ანჯამებიანი კარები, რომელთა პარამეტრები (თავისუფალი სიგანე) ძირითადად შეესაბამება ეროვნულ სტანდარტს[186] და არის არაუმცირეს 820 მმ სიგანის. კარებთან მანევრირებისთვის არსებული თავისუფალი სივრცეც სტანდარტის შესაბამისია.[187]

საკლასო ოთახების კარები იღება გარეთ, მხოლოდ 90 გრადუსით. ამ მიზეზით კარის ღია მდგომარეობაში მისაწვდომი სვლაგეზი ვიწროვდება 900 მმ მეტად.[188] ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, საევაკუაციო გზებზე განლაგებული კარი უნდა იღებოდეს შიგნიდან

---

[182] დეფექტური აქტის №5 პუნქტის („სამუშაოს შესრულების პირობა”) მიხედვით, „მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო და გარემოსდაცვითი ნორმების განუხრელი შესრულება“. შესაბამისად, შემსრულებელი ვალდებული იყო დაეცვა ტექნიკური რეგლამენტის „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ მიხედვით დადგენილი მოთხოვნები.

[183] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“.- ქვეთავი 302.

[184] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“. ქვეთავი 402.

[185] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“. 403 ქვეთავის 403.5.2.1.

[186] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“. 404 ქვეთავის 404.2.2.

[187] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“. 404 ქვეთავის 404.2.3.4.

[188] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“. 404 ქვეთავის 404.2.3.

გარეთ, თუმცა, ეს წესი არ ვრცელდება შიდა კარზე,[189] რომლებიც ამ შემთხვევაში საკლასო ოთახების კარებია. აქედან გამომდინარე, კარები შეიძლებოდა გაღებულიყო შიგნით, რადგან კლასებში მაქსიმუმ 10-12 მოსწავლე და მასწავლებელია. ამით თავიდან იქნებოდა აცილებული კარის მოულოდნელად გაღების საფრთხე (მოცემული საკითხი აქტუალურია უსინათლო მოსწავლეებისათვის, რომლებიც გადაადგილებისას დერეფანში კედელს მიუყვებიან). აგრეთვე, არ დავიწროვდებოდა დერეფნის სიფართე მაშინ, როცა კარების უმეტესობა ღიაა, რაც გადაადგილებისას არა მარტო დისკომფორტს ქმნის, არამედ საფრთხის შემცველიცაა.

გარდა ამისა, არაადაპტირებულ ტუალეტებში შესასვლელი კარების სიგანე 600 მმ-ია, ნაცვლად 820 მმ-სა, რაც ტექნიკური რეგლამენტის დარვევაა.[190]

პანდუსი

შენობაში პანდუსი მოწყობილია რამდენიმე ლოკაციაზე: მთავარ შესასვლელში, კვების ბლოკის გვერდითა შესასვლელში და ღონისძიებების დარბაზის სცენასთან.

მთავარ შესასვლელში არსებული პანდუსის დახრის კუთხე დამაკმაყოფილებელია. თუმცა კვების ბლოკის შესასვლელში განთავსებული პანდუსი[191] სტანდარტის დარღვევითაა მოწყობილი.[192] კერძოდ, მისი ზედაპირის დახრა 1:12-ზე ბევრად მეტია. ასევე, მისი ზედაპირი არის სრიალა,[193] ხოლო მოაჯირი, რომელიც კედელს მიუყვება, წყდება პანდუსამდე 2 მეტრის დაშორებით. პანდუსს არ აქვს სახელური.[194]

სკოლის ღონისძიებების სცენაზე მოწყობილი პანდუსი ასევე არ აკმაყოფილებს არსებულ სტანდარტებს და საფრთხის შემცველია უსინათლო ადამიანებისთვის. კერძოდ, მას არ აქვს სახელური, დაცული არ არის კიდეები და კონტრასტი დონეებს შორის.[195] აღსანიშნავია, რომ სცენის პანდუსის დარღვევებზე სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფმა ჯერ კიდევ რესტავრაციის მიმდინარეობის დროს მიუთითა, მაგრამ შენიშვნა არ გაუთვალისწინებიათ.

კიბე, სახელურები

---

[189] კარი შეიძლება იღებოდეს შიგნით, თუ ემსახურება ოთახს ან ფართობს, სადაც დაკავებულობის დატვირთვა 50 კაცზე ნაკლებია (ანუ, სადაც 50 კაცზე ნაკლები იმყოფება). საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება-ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე (დადგენილება ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვრიდან), 1008 ქვეთავის 1008.2.1. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3176389>

[190] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“. 404 ქვეთავის 404.2.2.

[191] განკუთვნილია სასადილოს თანამშრომლებისათვის, მაგრამ ამ პანდუსით ასევე სარგებლობენ სხვა პირებიც.

[192] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“. 405 ქვეთავის 405.1.

[193] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“. 302 ქვეთავის 302.

[194] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“. 405 ქვეთავის 405.8.

[195] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“. 405 ქვეთავის 405.8; 405.9.

კიბის მოწყობა არ შეესაბამება ტექნიკურ რეგლამენტს.[196] საფეხურები დაქანებული, მცურავი და გაცვეთილია. ალაგ-ალაგ ჩამოტეხილია და არ აქვს თანაბარი სიმაღლე. ჩამოთვლილი დეფექტები საფრთხის შემცველია მათზე გადაადგილების დროს. ამ შემთხვევაში მოცურების საწინააღმდეგო ზოლები (ზოგი მათგანი ამძვრალია) ფაქტობრივად უფუნქციოა.

კიბეებისა და შემოსასვლელი პანდუსის ორივე მხარეს არის სახელურები,[197] რომლებიც უწყვეტად მიუყვება თითოეული კიბის მარშისა და პანდუსის სიგრძეს[198] და გრძელდება თავთან და ძირთან.

დეფექტური აქტის თანახმად, კიბის გასწვრივ (ისევე როგორც დერეფანში) უნდა ყოფილიყო ხის სახელურები.[199] ნაცვლად ამისა გაკეთდა ლითონის სახელურები.[200]

თითოეული სართულის ბაქანთან კიბის უჯრედიდან დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ არ არის კიბის დონის ამოსაცნობი ნიშნები - ამობურცული და ბრაილის შრიფტით, რაც გაამარტივებდა სართულის დონის ამოცნობას.[201] ასევე, გასასვლელ კარს ამობურცული ნიშნებითა და ბრაილის შრიფტით არ აწერია „გასასვლელი“.

სკოლის მესამე სართულის კიბის ბაქნიდან ჭერამდე არის რკინის ვიწრო კიბე, რომლითაც შესაძლებელია შენობის სახურავზე ასვლა. ჭერზე არის 600 მმ ზომის გასაძრომი სივრცე, რომელსაც არა აქვს კარი. ამ შემთხვევაში ვიწრო კიბისთვის დაწესებული კრიტერიუმები დაცულია.[202] კიბეს არ აქვს არც შესაბამისი საბიჯელები და არც სახელურები, ის საფრთხეს უქმნის მოსწავლეებს, რადგან მათ შეუძლიათ დაუბრკოლებლად ავიდნენ მასზე. ამიტომ, მნიშვნელოვანია იყოს გამაფრთხილებელი ნიშანი.

სართულების დამაკავშირებელი კიბეების მხოლოდ თავსა და ბოლოშია ძველი კონტრასტული ხაზები, რომლებიც საჭიროებს განახლებას.[203]

---

[196] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“. ქვეთავი 505.

[197] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი“. ქვეთავი 505.2

[198] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი“. ქვეთავი 505.3

[199] დეფექტური აქტი №27, 32- „დერეფანში და კიბის უჯრედში კედელში ჩამაგრებული ხის სახელურების მოწყობა“.

[200] ხის სახელურები პრინციპულად მნიშვნელოვანია; ისინი ნაკრებად ტრავმულია; უსინათლო და მცირემხედველი ბავშვები უკეთ გრძნობენ მას ხელებქვეშ. ხის მოაჯირები არ იწვევენ უარყოფით შეგრძნებებს, განსხვავებით ცივ ზედაპირთან შეხებისგან. ამასთანავე, ლითონის სახელურების დამონტაჟებიდან სულ რამდენიმე დღეში ერთ-ერთი სახელურის შეერთების ადგილი მორყეულია.

[201] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი“. 504-ე ქვეთავის 504.10.

[202] საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება-ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე (დადგენილება ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვრიდან), 1009-ე ქვეთავის 1009.16.2. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3176389>

[203] შენობის კიბე - შემსრულებლების აზრით, ისტორიული შენობის ნაწილი იყო, ამიტომ მისი რეკონსტრუქცია არ მომხდარა.

ფანჯრები

ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, ფანჯრები უსაფრთხო უნდა იყოს ბავშვებისთვის, იატაკიდან ფანჯრის რაფა განთავსებული უნდა იყოს არანაკლებ 90 სმ სიმაღლეზე.[204] ფანჯრებს უნდა ჰქონდეს საიმედო გაღება-გადმოღების მექანიზმი. №202 საჯარო სკოლის ფანჯრების სიმაღლე ზოგიერთ საკლასო ოთახში 60 სმ-ია, რაც საფრთხის შემცველია. საფრთხის თავიდან ასარიდებლად საჭიროა ფანჯრებზე დამცავი მოაჯირების დამონტაჟება. ამავე დროს, ფანჯრების უმეტესობა მჭიდროდ არ იხურება. ამის გამო სასწავლო და საძინებელ ოთახებში დარღვეულია ხმაურის რეჟიმი, რომლის დაცვა მეტად მნიშვნელოვანია სსმ მოსწავლეებისათვის.

ტუალეტები და სააბაზანო ოთახები

სკოლის შენობის ყველა სართულზე არის ორი ტუალეტი (გოგონებისთვის და ბიჭებისთვის ცალ-ცალკე). შშმ პირებისთვის განკუთვნილი უნიტაზი და საშხაპე განთავსებულია ტუალეტის ცალკე ნაკვეთურში. ტუალეტების ნაკვეთურები ეტლით მოსარგებლისთვის მისაწვდომია. უნიტაზების ირგვლივ თავისუფალი სივრცე შეესაბამება ეროვნულ სტანდარტს.[205] უნიტაზთან არის ხელმოსაჭიდი ძელები, როგორც გვერდითა თარაზული, ასევე უნიტაზის უკან. კარი ფართოა. ხელსაბანები და ნიჟარები შეესაბამება სტანდარტს.[206] ტუალეტების სივრცეში არის საშხაპეები, როგორც შშმ პირებისათვის გამოყოფილ ნაკვეთურში, ისე საერთო სარგებლობის ნაკვეთურში. საერთო სარგებლობის ნაკვეთურში კარის სიგანე 600 მმ-ია და არ შეესაბამება სტანდარტს. საშხაპეებში არ დგას სკამები.

ტუალეტებში არის 1 მეტრი სიგრძის ცენტრალური გათბობის რადიატორი. რადგან შშმ პირებისათვის განკუთვნილი და საერთო სარგებლობლობის ნაკვეთურებს აქვთ კარები, სკოლის დირექცია გამოთქვამს შეშფოთებას, რომ ამ ნაკვეთურებში განლაგებული საშხაპეები სათანადოდ არ გათბება, რაც დაუშვებელია. როგორც ცნობილია, სკოლა ამავე დროს პანსიონის ტიპისაა და შენობის მესამე სართულზე განლაგებულია საცხოვრებელი ოთახები.

ლიფტი

ლიფტის კაბინის ორი შიდა კარიდან მხოლოდ ერთი იკეტება. ლიფტის კაბინა არ არის იზოლირებული მოძრაობის დროს, რაც ლიფტით მოსარგებლე პირებისთვის საფრთხის შემცველია და საჭიროებს დაუყოვნებლივ გადაკეთებას.

საკომუნიკაციო ელემენტები და ამოცნობადი გამაფრთხილებლები

[204] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“. ქვეთავი 506.
[205] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“. ქვეთავი 604.
[206] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“. ქვეთავი 606.

სკოლაში არ არის კიბისა და სართულის დონის ამოსაცნობი ამობურცული ნიშნები და ბრაილის შრიფტი. გასასვლელ კარს ამობურცული ნიშნით და ბრაილის შრიფტით არ აწერია „გასასვლელი“.[207]

სკოლაში არ არის ამოცნობადი გამაფრთხილებლები, რომელთა ზედაპირები სტანდარტული უნდა იყოს მთელ შენობაში.[208] კერძოდ, ზედაპირები უნდა იყოს კონტრასტული და ვიზუალურად განსხვავდებოდეს მომიჯნავე ზედაპირებისგან; ამოცნობადი გამაფრთხილებლები მომიჯნავე ზედაპირებისაგან ასევე უნდა განსხვავდებოდნენ სიმკვრივით.

ადგილი

ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, „ტექნიკური კრიტერიუმები ადგილებს, საშუალებებს, შენობებს მისაწვდომს ხდის“. „ადგილი“ ის მიწის ნაკვეთია, რომელიც მოქცეულია ობიექტის ფარგლებში. შესაბამისად, მისაწვდომი უნდა იყოს ამ ადგილზე განლაგებული შენობა-ნაგებობები.

სკოლის ეზოში განლაგებული შენობა-ნაგებობა, რომელსაც დეფექტურ აქტში „დამხმარე შენობა“ ეწოდება, რეკონსტრუქციის შემდეგ არ შეესაბამება არცერთ კომპონენტს. შენობა, რომელსაც სასტუმროს ფუნქცია ექნება, მინიმალურადაც არ არის ადაპტირებული. მეორე სართულზე ადის ვიწრო ხის კიბე; საპირფარეშო ვიწროა და მოუხერხებელი.

ეზოში არსებულ „დამხმარე შენობის“ სარდაფს აქვს ორი ჩასასვლელი ეზოს მხრიდან და ისინი როგორც მოსწავლეებისთვის, ისე იქ დასაქმებული ადამიანებისა და სტუმრებისათვის საფრთხის შემცველია. სარდაფში ჩასასვლელი კიბე არ არის დაცული, არ აქვს მოაჯირი. როგორც მშენებლებმა მონიტორინგის ჯგუფთან საუბრის დროს აღნიშნეს, არ იგეგმება სარდაფში ჩასავლელის ადაპტირება, რადგან „დეფექტურ აქტში“ თავიდანვე არ ყოფილა ჩადებული ამ შენობა-ნაგებობის ადაპტირება, რაც შეცდომა და ტექნიკური რეგლამენტის დარღვევაა.

მიმოსვლის ბილიკი

სკოლის ეზო არ არის უსაფრთხო. კერძოდ, ბილიკის ბორდიური, რომელიც სათამაშო სივრცეს ესაზღვრება, დამზადებულია გადაჭრილი ბეტონის მილებისგან, რომელსაც აქვს საკმაოდ ბასრი კიდეები. შედეგად, დაცემის შემთხვევაში ბავშვებმა შეიძლება სერიოზული ტრავმა მიიღონ. მართალია, ბორდიური ძველი გაკეთებულია, თუმცა რესტავრაციის დროს არ შეუცვლიათ.

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები ცხადყოფს, რომ სასწავლო დაწესებულების რესტავრაცია-ადაპტირების პროცესში არ მომხდარა შენობის სრულად

[207]„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი“. ქვეთავი 504.10.
[208]„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი“. 705-ე ქვეთავის 705.1.

ადაპტირება, არ ყოფილა გათვალისწინებული ტექნიკური რეგლამენტის - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ მოთხოვნები.

რეკომენდაციები

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს:

- 202-ე საჯარო სკოლის შენობის კიბეების ლითონის სახელურები ჩანაცვლდეს ხის სახელურებით
- სკოლის შენობის ფანჯრებზე დაუყოვნებლივ გაკეთდეს დამცავი ბადეები/დამცავი მოაჯირი, მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასარიდებლად (ვინაიდან დარღვეულია „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი“ და ფანჯრის რაფები 600 მმ სიმაღლეზეა, ნაცვლად 900 მმ-სა). ასევე, შემოწმდეს და უზრუნველყოფილი იყოს ფანჯრების მჭიდროდ დახურვა
- სკოლის სველ წერტილებში უმოკლეს ვადაში გადაიჭრას საშხაპეების სათანადოდ გათბობის საკითხი.

თბილისის №202 საჯარო სკოლის ადმინისტრაციას:

- უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ სკოლაში არსებულ კვების ბლოკთან მდებარე პანდუსის ადაპტირება ტექნიკური რეგლამენტის, „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ 405 -ე ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად
- სკოლაში არსებული კიბის უსაფრთხოების მიზნით მისი ზედაპირი დაიფაროს ხალიჩით ან ხალიჩის ნაჭრით, რომელსაც ექნება მკვრივყულფიანი სტრუქტურა. ხალიჩა დამაგრდეს კიბის უჯრედების მთელ სიგრძეზე
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის, „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ 1011.4 ქვეთავის შესაბამისად, თავშესაფრის ფართობის, სხვისი დახმარებით თავდასაღწევი გარე ფართობის, გასასვლელის გზა-კიბის, გასასვლელის პანდუსის, გასასვლელის გზა-დერეფნისა და შენობიდან გამოსასვლელის ყველა კართან განთავსდეს ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით, ICC A117-ის შესაბამისად შექმნილი ნიშანი, წარწერით – „გასასვლელი“
- სასწავლო დაწესებულებაში მყოფი პირების უსაფრთხოებიდან გამომდინარე, უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს სკოლის შენობის სხვენზე ასასვლელი კიბის იზოლირება
- სკოლის მოსწავლეთა და პერსონალის უსაფრთხოების მიზნით, უზრუნველყოს ლიფტის კაბინის დროული შეცვლა

- ყურადღება გამახვილდეს სკოლის ეზოს ბილიკის ბორდიურის საფრთხის შემცველ მდგომარეობაზე (ზედაპირს აქვს ბასრი კიდეები). ამასთანავე, უზრუნველყოს საკითხის გავლა და მოგვარება შესაბამის სპეციალისტებთან კონსულტაციის გზით.